ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 3 ივლისი, 2023 №128 (9164) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რიკოთი ბეტონის სარკოფაგში უნდა ჩავსვათ, რომ მთა არ წამოვიდეს“

გვ.2

თეა გოდოლაძე: „სისულელეა, ნამცხვარივით კედლები ათალო მთას“

„ივანიშვილი არჩევნების წინ გუნდს შეცვლის“

გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „ბიძინა ივანიშვილისთვის მარადიული მხოლოდ ფული და ფინანსური კეთილდღეობაა, ამიტომ ის მოიქცევა ისე, რომ მაქსიმალურად შესძლოს ამ ყველაფრის შენარჩუნება“

გვ.3

„ოცნებამ“ ქვების სროლა დაიწყო, რეჟიმის აღსასრული ახლოვდება“

ლაშა ჩხარტიშილი: „მე რომ ნაციონალებს ვებრძოდი, კახა კალაძე სააკაშვილს ერთგულებას ეფიცებოდა“

გვ.3

„პრიგოჟინის კერძო სამხედრო დაჯგუფებები გაზპრომის ეგიდით მოქმედებენ“

ვახტანგ მაისაია: „პრიგოჟინის ამბოხი დადგმული სპექტაკლი არ იყო, რეალური დაპირისპირების კონკრეტული კონტურები იკვეთებოდა“

სალომე ზურაბიშვილი: „სააკაშვილმა სასჯელი უნდა მოიხადოს“

გვ.4

გვ.5

მიშა მშვილდაძეზე ძალადობის ბრალდებით დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა

ირაკლი ღარიბაშვილი: „ქვეყნის ეკონომიკა თითქმის 30 მილიარდი ლარით გაიზარდა“

გვ.5

გვ.6

ილონ მასკი მარკ ცუკერბერგთან შებრძოლებას კოლიზეუმში აპირებს

5 თამაზ გაიაშვილი: „იმედია, უკრაინის უსამართლო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის სარკისებური პასუხი მოპყვება“

5 თბილისში მოტოციკლეტი მეეზოვეს დაეჯახა

7 ცრემლიანი და ამაყი მარცხი

6 რუსები ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე დივერსიებს ამზადებენ?!

1993230720223

„ივანიშვილი არჩევნების წინ გუნდს შეცვლიდა“

ლელა ჯეჯელავა: „ბიძინა ივანიშვილისთვის მარადიული მხოლოდ ფული და ფინანსური კეთილდღეობაა, ამიტომ ის მოიქცევა ისე, რომ მაქსიმალურად შესძლოს ამ ყველაფრის შენარჩუნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

– ქალბატონო ლელა, ვისმენთ შეფასებებს, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ახალ დაპირისპირებაში შევიდა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ადრე თქვენ საუბრობდით, რომ სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილის მითითებებით მოქმედებდა. რას იტყვით დღეს, რა ხდება პრეზიდენტსა და ხელისუფლებას შორის?

– მე კვლავ იგივე აზრზე ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის პრეზიდენტისთვის დაპირისპირების ობიექტი ნამდვილად. პრეზიდენტი უპირისპირდება „ქართული ოცნების“ ამჟამინდელ მმართველ გუნდს და, მე მგონი, ეს სრულიად შედის ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში.

– რას გულისხმობთ?

– შევეცდები ახლავე აგიხსნათ. დავიწყოთ იქედან, რომ ჩვენ გარშემო მოვლენები იცვლება ძალიან სწრაფად. 24-მა ივნისმა და პრიგოჟინიადამ სერიოზული გავლენა იქონია როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობაზე. როგორც 24 თებერვალი იყო გარკვეულად წყალგამყოფი რუსეთსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის, 24 ივნისიც გარკვეულწილად იქცა და იქცევა მომავალშიც წყალგამყოფად რუსეთის შიდა პოლიტიკური სიტუაციისათვის. უბრალოდ, ჩვენ ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში, 24 თებერვლის შემდეგ, ვიხილეთ ის, რომ არა მარტო რუსეთის არმიაა მითი, არამედ 24 ივნისმაც გვაჩვენა, რომ რუსეთის შიდა პოლიტიკური სტაბილურობაც მითია. პუტინის ერთპიროვნული ლიდერობაც მითია. საკმაოდ დიდი რყევებია მოსალოდნელი რუსეთში.

– ამ ყველაფერმა, ფიქრობთ, შეაშინა ბიძინა ივანიშვილი?

– რასაკვირველია. ბიძინა ივანიშვილი მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. უბრალოდ, კარგად ხედავს, რომ 2024 წლის არჩევნების ჩატარება მოუწევს უკრაინის საკმაოდ ხელშესახები გამარჯვებების ფონზე, ასევე რუსეთში მიმდინარე შიდა პოლიტიკური რყევების ფონზე. ამიტომ ბუნებრივია,

„ოპოზიციას პრიორიტეტები ნამდვილად არა აქვს დალაგებული და თუ მან ეს არ გამოასწორა სასწრაფოდ, ძალიან გაუჭირდება 2024 წლის არჩევნებზე „ოცნებისთვის“ წინააღმდეგობის გაწევა“

ის თავისთვის იტოვებს მანევრირების შესაძლებლობას და შესაბამისად, ის გუნდი, რომელიც მთელი ამდენი ხნის განმავლობაში იყო მედროშე ანტიდასავლური პოლიტიკის, მას ველარ გამოადგება. ივანიშვილმა შემდეგი არჩევნები აუცილებლად უნდა ჩაატაროს ევროპული დროშით ხელში. აქ იქნება რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც ივანიშვილი დაეყრდნობა.

– რა ფაქტორებზეა საუბარი?

– ერთი, ეს გახლავთ, რომ „ქართული ოცნება“ მშვიდობით მიდის ევროკავშირისკენ. თუ ჩვენ დეკემბერში გვექნა დადებითი პასუხი კანდიდატის სტატუსზე, სწორედ ეს ლოზუნგი იქნება მთავარი – მშვიდობით ევროკავშირისკენ! ბუნებრივია, ეს იმ ელექტორატის ნაწილს, რომელსაც არ მოსწონს ოპოზიცია, თუმცა, მკაფიოდ უჭერს მხარს საქართველოს პროდასავლურ კურსს, შემოაბრუნებს „ოცნებისკენ“. მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი თემა, ეს იქნება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ტერიტორიული მთლიანობის თემები და ამას ჩვენ ვხედავთ უკვე. როგორ შემოგვთავაზებს ამ თემას რუსეთი, ეს ჯერ ნამდვილად არ ვიცით.

– წინა პერიოდის რიტორიკა ასეთი იყო, ტერიტორიული მთლიანობა თუ ევროკავშირი?

– ახლა ეს თუ ნამდვილად მოიხსნება, სტატუსთან დაკავშირებით თუკი გვექნება დადებითი პასუხი, მაშინ შეეცდებიან, მოქალაქეები დაარწმუნონ, რომ როგორც მათი პოლიტიკა იყო სწორი ევროკავშირისკენ სვლის გზაზე და ეს მოახერხეს მშვიდობიანად, ასევე მშვიდობიანად მოახერხებენ ტერიტორიულ გამთლიანებას. ჩემი აზრით, ეს იქნება ძალიან დიდი მითი. თუმცა, აქვე ვიტყვი, ძალიან სახიფათო იქნება ოპოზიციისთვის ამ ტიპის წინასაარჩევნო პოლიტიკასთან გამკლავება. აი, ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, წინასაარჩევნოდ, ბიძინა ივანიშვილისთვის სრულიად გამოუსადეგარი იქნება ეს გუნდი.

– სწორედ ეს მინდოდა რომ მეკითხა.

– დიახ, ღარიბაშვილი ამ სცენარში ნამდვილად არ ჯდება და ეს ჩემზე უკეთესად, ცხადია, იცის ივანიშვილმა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს გუნდი აუცილებლად გამოიცვლება. ხოლო მესამე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის გარშემოც გაერთიანდება რუსული პოლიტიკის გამტარებლები, ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით, ეს იქნება ლგბტ თემის საკითხი.

– ღარიბაშვილი დარჩება ამ ფლანგზე თავისი გუნდით?

– რასაკვირველია და მის უკან დადგება ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ამისი წინაპირობები უკვე ჩანს. ღარიბაშვილის ტოპ-თემაა ლგბტ თემა.

– მისი პარლამენტში გამოსვლაც საკმაოდ აგრესიული და ჰომოფობიური იყოო, ვისმენთ შეფასებებს.

– რასაკვირველია და ეს არის თითიდან გამოწოვილი პრობლემა ამ წუთისთვის საქართველოსთვის. ჩვენ, ვინც თვალს ვადევნებთ საქართველოს პოლიტიკას ბოლო 30 წლის განმავლობაში, ზუსტად ვიცით, რომ ხშირად საპატრიარქო ხდება ფლაგმანი იმ მითებთან ბრძოლაში, რომელიც სახელმწიფოსთვის ვითომ ყველაზე სერიოზულ მტერს წარმოადგენს. შეგახსენებთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი.

გამსახურდიას დროს საპატრიარქო ადანაშაულებდა პრეზიდენტს ნაკლებ დემოკრატიულობაში და მან აქტიური მოღვაწეობა მიიღო პირველი პრეზიდენტის დამხობაში. ამის შემდეგ დავინახეთ, თუ როგორ მოხდა ეკლესიის გავლენის გაფართოვება. მუდმივად არსებობდა „მტერი“ და „საფრთხე“, რომელსაც ის ებრძოდა. ჯერ იყო იეღოვას მოწმეები, სად არიან ახლა? აღარ წარმოადგენენ საფრთხეს?! ეს საჭირო იყო პოლარიზაციისთვის, დაპირისპირებისთვის. შემდეგ წამოვიდნენ სხვა პროტესტანტული რელიგიები.

გვახსოვს როგორ იწვოდა ბაპტისტური ლიტერატურა. ეს ეტაპებიც გავიარეთ და მთელი საზოგადოება კონსოლიდირებული იყო მართლმადიდებლური ეკლესიის გარშემო. შემდეგ გამოწვევად იქცა აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული ემიგრანტები და საპატრიარქო აქაც ბრძოლის ავანგარდში იყო, როგორც ქართული მიწის დამცველი. სად არის დღეს საპატრიარქო?! როდესაც ქართულ მიწას რუსები ყიდულობენ. ისმის მისი ხმა ამის წინააღმდეგ?! არა, რასაკვირველია! ახლა აღარ არის ქართული მიწა აქტუალური?! თუ არაუშავს ერთმორწმუნე რუსი თუ დაეპატრონება.

– ახლა ლგბტ თემაა აქტუალური?

– დიახ, ახლა მიდგა საქმე ლგბტ თემზე. ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც ჩვენ ყველამ კარგად ვნახეთ, სუსის კრებსების მიხედვით, რომ ამ ტიპის პრობლემა, თანაც საკმაოდ მძლავრად, თავად საპატრიარქოს წიაღში არსებობს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„რიკოთი ბეტონის სარკოფაგში უნდა ჩავსვათ, რომ მთა არ წამოვიდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სეისმოლოგი თეა გოდოლაძე პასუხობს.

– ქალბატონო თეა, შაბათს რიკოთის უღელტეხილზე კვლავ ჩამოწვა მეწყერი, ახლა სარკინიგზო მაგისტრალი ჩაიკეტა. მეწყერმა მოიყოლა ერთი ადამიანიც. საუბარია, რომ ეს მონაკვეთი სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– დღეს ვგეგმავ ადგილზე ჩასვლას სპეციალისტებთან ერთად და ადგილზე გავეცნობი სიტუაციას.

– რასთან გვაქვს საქმე? არაპროფესიონალიზმთან? გახშირებული წვიმის შედეგად გააქტიურდა მეწყრული ზონებიო. მხოლოდ წვიმის ბრალია ის, რაც რიკოთზე ხდება?

– კარგით რა. რას ლაპარაკობენ, თუ იციან საერთოდ. მილიონი წელია ამ ტერიტორიაზე წვიმა სულ მოდის. სარკინიგზო მაგისტრალიც რა დღეში ჩააგდეს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტად ითვლებოდა.

– რა სიტუაცია გვაქვს ახლა?

– სიტუაცია არის შემდეგი: ჩვენ გამოვიყვანეთ წონასწორობიდან გარემო, მოვიქეცით არასწორად, იყო არასწორი გათვლები, არასწორი სამშენებლო პოლიტიკა, რის შედეგადაც ჩვენ უკვე წლების განმავლობაში ამას მოვიმკით. სულ ამაზე ვსაუბრობდი. მე არ ვიცი, როდის რა მოხდება, მაგრამ ეს იქნება ჯაჭვური პროცესი, რომელიც იმ არასწორ ჩარევას მოჰყვა რიკოთზე. ეს არის ტექტონიკურად ძალიან აქტიური რეგიონი. აქ ყველაფერი ფაქტიურად ერთმანეთში მოძრაობს. ასეთი ტიპის ჩარევა, ასე გაუთვალისწინებელი და ასეთი არაპროფესიონალიზმი, მე, მართლა, არსად მინახავს.

– შედეგი იქნება სავალალო?

– როგორც ჩანს, ღმერთს მართლა ვუყვარვართ, რადგან იმ სისულელისთვის, რასაც ვაკეთებთ, ფაქტობრივად, იმ შედეგს არ აყენებს, რაც უნდა დადგეს. ძალიან ბევრ სიტუაციაში გადარჩენილები ვართ. იმდენჯერ წამოვიდა მეწყერი, იმდენჯერ ვართ გადარჩენილები, რომ რა გითხრათ. არ შეიძლება ასეთი რაღაცების გაკეთება. უკვე აღარ ვიცი, როგორ ვთქვა, რანაირად ვთქვა, რა ფორმით ველაპარაკო.

– ქალბატონო თეა, რა გამოასწორებს ამ სიტუაციას? ვხედავთ, რომ სერიოზული შეცდომებია დაშვებული.

– არაფერი არ გამოასწორებს. მე ყოველთვის ვერიდები ხოლმე გადაჭრით რაღაცისა თქმას, მაგრამ ამ ეტაპზე, მაგის გამოსწორება არ იქნება.

– აბა, ღმერთის იმედად უნდა ვიყოთ, მგზავრობისას გაგვიმართლებს თუ არა?

– ასეა. არ ვიცი, რა უნდა გაკეთდეს ამ მონაკვეთზე. მაშინ ეს მონაკვეთი უნდა ჩასვან ბეტონის სარკოფაგში, როგორც ჩერნობილი ჩასვეს ბეტონის სარკოფაგში, აი, ასე უნდა ჩავსვათ რიკოთიც, რომ მთა არ წამოვიდეს და ეს დაჯდება მთელი ქვეყნის ბიუჯეტი. არ შეიძლებოდა იმის გაკეთება, რაც გააკეთეს. ახლა თვითსტაბილიზაციისკენ წავა სიტუაცია და უნდა დაველოდოთ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ათასჯერ ვთქვი, რომ ბუნებაა მბრძანებელი და არა თქვენ. არც ამათ ეკონომიკურ მოგებას დასდევს გარემო. არ შეიძლება ასე ქცევა.

– საერთოდ არ უნდა შეხებოდნენ რიკოთის მონაკვეთს, თუ არასწორი ჩარევა მოხდა?

– როგორ არ უნდა შეხებოდნენ. ამას არც მე ვამბობ და არც არავინ. მაშინ დავსხდეთ გამოქვაბულში და არც გზები გავაკეთოთ და არც გვირაბები. არა, ასე არ არის. სწორად უნდა გააკეთო! შეხება არ ნიშნავს, რომ წამოხვიდე და ნამცხვარივით კედლები ათალო მთას. ეს არის სისულელე! ასჯერ ვთქვი, მაგრამ ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. ახლა რა ვქნათ, რა ფორმით ჩავერიოთ? გაფუჭებული რა ფორმით გამოვასწოროთ?! კაბას რომ იკერავთ, ჯერ ხომ თარგს ჭრით, ნაჭერი რომ არ გააფუჭოთ? რომ გაჭრით, იმას რომ აღარაფერი შველის, ესეც ხომ იცით, ის გაფუჭდება.

თეა გოდოლაძე: „სისულელეა, ნამცხვარივით კედლები ათალო მთას“

– აზრი არ ჰკითხეს პროფესიონალებს?

– არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცითო. რა იციან? 35 წელია ვსწავლობ და ყველაფერი მეც არ ვიცი. რა იცის იურისტმა? რა იცის ეკონომისტმა? არც ერთმა არაფერი იცის! როდესაც ეს თქვენი პროფესია არ არის, ძალიან ბევრს თქვენს თავზე ნუ იღებთ. მე ვერ ვიღებ მარტო საკუთარ თავზე ბევრ რამეს. არ არის ასე ხელწამოსაკრავი ტექტონიკა აქ.

– რა გამოასწორებს ამ სიტუაციას? რა ეშველება რიკოთს?

– არაფერი არ ეშველება. უნდა მოერიდოთ! ვიღაცას გაუმართლებს ამ გზაზე რომ გაივლის, ვიღაცას – არა. მე სულ სხვანაირად გავაკეთებდი და ეს ვთქვი კიდეც. მათ ადგილას ავდგებოდი და სასწრაფოდ ალტერნატიულ გზებს გავაკეთებდი, რომ, რაღაც ეტაპზე, უსაფრთხო გამეხადა რიკოთზე მოძრაობა. საბოლოოდ, პარალიზებას ხომ არ გავუკეთებთ ქვეყანას?! დღეს, ფაქტობრივად, პარალიზებულია. ყველა, ვინც რიკოთს გადაკვეთს, წავა რისკზე.

– დღეს რიკოთის გადავლა სერიოზული საფრთხის შემცველია?

– თქვენ თვითონ განსაჯეთ, აბა. ყოველ დღე რაღაც ხდება.

– რომ მოიწვიონ სპეციალისტები? რაღაც გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს?

– მოიწვიეს, აჩვენეს, მაგრამ ვინმემ კომენტარი გააკეთა?! გამოსავალი რომ მოეძებნათ, ხომ გააკეთებდნენ კომენტარს?! ეს მთაზე მიტყეპებული ბეტონი რომ არაფერს დაიჭერს, ეს მეც ვიცი და თქვენც.

– რა გამოდის, რომ რიკოთს ვაუქმებთ?

– მე ასე არ ვიტყოდი, რომ რიკოთს ვაუქმებთ. 30 კილომეტრიანი მონაკვეთია და მანდ შესაძლებელია სხვანაირად დაგეგმვა, თუმცა, აქ საჭიროა ძალიან, ძალიან მაგარი ხალხი. პროექტი უნდა შეიცვალოს! ესენი კი მაგარ ხალხს არ ელაპარაკებიან. ელაპარაკებიან ისეთ ხალხს, რომლებსაც ორ ბატს არ ჩააბარებ. საკმაოდ სერიოზული კომპანიაა შესარჩევი. მე როცა ვმუშაობ, ზუსტად ვიცი, ვისთან უნდა ვიმუშაო. რთული ტექტონიკური პირობებია, უნდა მოძებნონ ადამიანები, რომლებსაც შესაბამისი გამოცდილება აქვთ. ყველა უცხოელი კარგი სპეციალისტი კი არ არის. ყველაფერი თავიდან უნდა გაკეთდეს. რაღაცები უნდა დაიხუროს. ზესტაფონის გვირაბი კონსერვირებული რომ იყო, ტყუილად კი არ იყო. რომ მიხვდნენ არაფერი გამოდიოდა, დააკონსერვეს. ასე მოუწევს აქაც. გარკვეული ნაწილი უნდა დაკონსერვდეს.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო ვოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერამვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნებამ“ ქვების სროლა დაიწყო, რეჟიმის აღსასრული ახლოვდება“

ლაშა ჩხარტიშილი: „მე რომ ნაციონალებს ვებრძოდი, კახა კალაძე სააკაშვილს ერთგულებას ეფიცებოდა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიებმა მზადება ხმაურიანად დაიწყეს. როგორ ფიქრობთ, ძალადობრივი იქნება ეს არჩევნები?

– გამორჩეულად ძალადობრივი არჩევნები გვექნება. ასევე გამორჩეულად გააყალბებს ამ არჩევნებს ხელისუფლება. ეს უკვე სახეზეა. საბჭოური სტილის არჩევნებისთვის უნდა მოვემზადოთ.

„ქართული ოცნება“ ყველა უარყოფით მხარეს ავლენს. ეს მოსალოდნელი იყო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ რეჟიმი აღსასრულის მოახლოებას როდესაც გრძნობს, ყველაფერზე მიდის. ყველა ილეთს იყენებენ, რომელიც აკრძალული და დაუშვებელია დემოკრატიული სამყაროსთვის. ცივილიზებულ პოლიტიკურ პროცესში წარმოუდგენელია ძალადობაზე ააგო კამპანია. ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ძალადობაზე აპირებს ხელისუფლება თავისი წინააღმდეგ საარჩევნო კამპანიის აგებას.

როდესაც სახეზეა ასეთი ძალადობა, ეს ნიშნავს რეჟიმი ბოლო სტადიას გადის.

– ისინი ასე არ თვლიან. პირიქით, გამარჯვებაზე საუბრობენ.

– რა თქმა უნდა, აბა ვინ ამბობს, რომ დამარცხებისთვის ემზადება. ივანიშვილის რეჟიმი დამარცხებისთვის არის განწირული. თეორიულად თუ პრაქტიკულად, არ არსებობს არავითარი შენსი, „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთი ვადით ხელისუფლება შეინარჩუნოს. ეს გამორიცხულია. მართალია, ამ ხელისუფლების აღსასრული მოახლოებულია, მაგრამ გარანტირებული არაფერია, ამიტომ ბრძოლაა საჭირო.

– ბრძოლა რა მიმართულებით?

– ქუჩაში გამოსვლას ვგულისხმობ. ხალხმა და ოპოზიციამ გამარჯვებას არჩევნებამდე უნდა მიაღწიოს. ეს გამარჯვება საარჩევნო სისტემის ცვლილების გარეშე არ მიიღწევა. გამარჯვება არ მიიღწევა დაბალი საარჩევნო ბარიერის ან ბუნებრივი ბარიერის გარეშე. ხუთ-პროცენტიანი ბარიერი არის ის, რაც აწყობთ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას. ერთიც და მეორეც ამ ქვეყნის წარსულია.

წვრილი პარტიების გაძლიერებასა და პარლამენტში მოსვლას, შემდეგ უკვე მთავრობის დაკომპლექტებას ემსახურება დაბალი საარჩევნო ბარიერი.

– რაც გამორიცხა კობახიძემ.

– ამიტომ ვამბობ, რომ ქუჩაშია საჭირო ბრძოლა. ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი და ერთადერთი მოთხოვნით უნდა გავიდეთ ქუჩაში – შეიცვალოს საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ბარიერი და სამართლიანი გახდეს.

2024 წელსაც თუ „ოცნება“ მოიგებს არჩევნებს, რისი დიდი შანსიც არის, არსებული მახინჯი საარჩევნო სისტემითა და ბარიერით, მაშინ საფრთხე შეექმნება სახელმწიფოს, ქართველებს, რომლებიც ამ ქვეყანას სამუდამოდ დატოვებენ და წავლენ ემიგრაციაში, აქითკენ აღარ გამოიხედავენ.

ამ ქვეყანაში ერთგვარი გამაფრთხილებელი ტრადიციასავით არის, როდესაც ხელისუფლება არჩევნების წინ ქვების სროლას იწყებს, ის წაგებისთვის არის განწირული. ასე მოხდა 2003 წელს, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლებამ ქვები ისროლა, მისი ხელისუფლება ისე გაქრა, აღარავის ახსოვს.

2012 წელს, კორცხელში როდესაც ქვები ისროლა ნაციონალურმა მოძარობამ, როგორ დაასრულა, ამის შეხსენება, ალბათ, უადგილოა, რადგან შედეგებს დღესაც კი იმკიან. 2023 წელს, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე დაიწყო ქვების სროლა „ოცნებამ“, ალბათ არ არის რთული გამოსაცნობი, როგორ დაასრულებენ. ეს არის აღსასრულის უტყუარი ნიშანი.

30 წლის მანძილზე ვერ შევძელით გაწონასწორებული, დაბალანსებული, წვრილი პარტიებისგან დაკომპლექტებულ მთავრობას ემართა სახელმწიფო. მსხვილი პარტიებისა და ბელადების მართვამ იცის ასე. ბელადომანია უნდა დავასრულოთ. ცივილიზებული, დემოკრატიული მმართველობა არის მაშინ, როდესაც კოალიციური მთავრობა, ცხადია, რეალური არჩევნების შედეგებით დაკომპლექტებული კოალიცია მართავს ქვეყანას და არა თავკომბალა, დიდი პარტია, რომელსაც ბელადი უდგას სათავეში და მისი ხუშტურები არის მთავარი და არა ქვეყნის ინტერესები.

ამიტომ ამომრჩეველმა ხმა წვრილ პარტიებს უნდა მისცეს და არა მსხვილ პარტიებს – ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“, რომელთაც ერთმანეთი ჯერ შვეს და ახლა ერთმანეთს კვებავენ, რადგან ერთმანეთი აწყობთ. მე რომ ნაციონალურ მოძარობას ებრძოდი, კახა კალაძე სააკაშვილს ერთგულებას ეფიცებოდა. ახლა მე მეუბნებიან, ვინც ჩვენთან არ არის, ყველა ნაციაო. ძალიან მაინტერესებს ერთი, კალაძე ვინ გამოდის?!

„პრიგოჟინის კერძო სამხედრო დაჯგუფებები გაზპრომის ეგიდით მოქმედებენ“

ვახტანგ მაისაია: „პრიგოჟინის ამბოხი დადგმული სპექტაკლი არ იყო, რეალური დაპირისპირების კონკრეტული კონტურები იკვეთებოდა“



„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო ვახტანგ, სანამ თქვენ პოლონეთში მორიგჯერ გაჯილდოვებდნენ, რუსეთში კინაღამ ხელისუფლება დაამხეს. როგორ ჩანდა პოლონეთიდან ის მოვლენები, რაც რუსეთში ვითარდებოდა? ვგულისხმობ, პრიგოჟინისა და მისი შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ქალაქების დაკავებასა და მოსკოვისკენ გადაადგილებას, ანუ ერთდღიან ამბოხებას.

– პოლონეთიდან ეს ყველაფერი ჩანდა, როგორც ყველა ქვეყნიდან. გართულებული სიტუაცია იყო. პოლონეთის მთვრობამ რუსეთში განვითარებული მოვლენები საკმაოდ სერიოზულად მიიღო და შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა.

რუსეთში განვითარებული მოვლენები პოლონეთში საკმაოდ სერიოზულ საფრთხედ იქნა აღქმული. რუსეთში ნებისმიერი სამხედრო ამბოხის თუ გადატრიალების მცდელობა დიდი მოვლენაა. ჩვენ ვიყავით მხოლოდ გულხელდაკრეფილები.

– ჩვენთან ჯარი ისედაც მუდმივ მზადყოფნაშია მოყვანილი, რადგან რუსები დედაქალაქიდან 30 კილომეტრში დგანან.

– მუდმივ მზადყოფნაში რომ არიან, ეს არ ნიშნავს სამხედრო-საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას. მე უშუალოდ ვიხილე, რა არის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.

– თქვენ პრიგოჟინის ამბოხი დადგმულ სპექტაკლად შეაფასეთ?

– არა, პირიქით. ეს არ იყო დადგმული სპექტაკლი, რეალური სცენარი გახლდათ, რეალური დაპირისპირების კონკრეტული კონტურები იკვეთებოდა. ხელოვნურობის ნატამალიც კი არ ჩანდა. პირიქით, რეალური კრიზისული სიტუაცია შეიქმნა და მოვლენები სერიოზულად ვითარდებოდა.

– ამ ამბოხმა რუსეთს რა შედეგი შეიძლება მოუტანოს? მაგალითად, გერმანიის კანცლერმა შოლცმა განაცხადა, რომ პუტინი თავის საკარძელში ისე მყარად რომ ვეღარ არის, ცხადია. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– რა თქმა უნდა, შოლცს აბსოლუტურად ვეთანხმები. პრიგოჟინის ამბოხი პუტინის რეჟიმს ასუსტებს. პუტინმა ეს რაუნდი წააგო. პროგოჟინი სიტუაციიდან გამარჯვებული გამოვიდა, ამიტომ პუტინი ყველაფერს აკეთებს, რომ თავისი იმიჯი დაიბრუნოს.

– პუტინს დასუსტება რაში ეტყობა? ახლახანს ჩრდილო კავკასიაში, დაღესტანში იმყოფებოდა.

– პუტინი უკვე კოჭლ იხვად გადაიქცა. მისი სისუსტე ამბოხებით გამოჩნდა. პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც მეორე სახელმწიფოსთან ომშია ჩართული (ეს მისი სიტყვებია), ამ დროს ქვეყანაში მის წინააღმდეგ ამბოხი ხდება.

ამბოხის გამო, პრეზიდენტი ამბოხების მეთაურს, მონაწილეებს მოღალატეებად აცხადებს, ამბოხებულებს მძიმე ბრალდებას უყენებს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 279-ე მუხლით, ანუ სამხედრო ამბოხების მცდელობისთვის.

პრეზიდენტი, ფაქტობრივად, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ავალებს, გადამჭრელი ზომები მიიღონ, ამბოხებულები, მოღალატეები ჩადენილი დანაშაულისთვის მკაცრად დასაჯონ, მაგრამ მეორე დღეს ამ ყველაფერს აუქმებს. უკაცრავად, მაგრამ ადამიანს სამშობლოს ღალატის მუხლს რომ უყენებ და მერე შენი სიტყვა უკან მიგაქვს, სისუსტეა, აბა, რა არის?

ბრალდება ქურდობაზე, ადმინისტრაციული ტიპის რაიმე დანაშაულზე, ან ვთქვათ, კორუფციაზე ხომ არ წაუყენებიათ. კორუფციაც მძიმე დანაშაულია, მაგრამ სამშობლოს ღალატის მუხლი წაუყენეს.

ამ ვითარებაში მეორე დღეს პრეზიდენტი პუტინი გამოდის, თავისი ნათქვამის, წაყენებული ბრალდების დენონსაციას ახდენს, ფაქტობრივად, პოლიტიკურ ამნისტიას აცხადებს და მთავარ დამნაშავეებს მეორე სახელმწიფოში უშვებს.

– ზელენსკიმ განაცხადა, პრიგოჟინი და მისი მებრძოლები უკრაინისთვის საშიშროებას არ წარმოადგენენ, ძალიან ცოტანი არიან ლუგანსკშიო. თქვენი შეფასებით, ამბოხის რეალური მიზეზი რა იყო, ამ დაჯგუფების ხელში აღმოჩენილი დიდძალი იარაღი, იმის დანახვა, რომ რაც უნდა იბრძოლონ, მაინც წაგებული აქვთ, თუ პუტინის ავტოკრატიული რეჟიმი?

– ამბოხის რეალური მიზეზი იყო პრიგოჟინის გადაჭარბებული პოლიტიკური ამბიციები, მისი დაპირისპირება თავდაცვის მინისტრ შოიგუსთან. ასევე პრიგოჟინს გარკვეული ბიზნესპროექტის განხორციელების საშუალება არ მისცეს. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება იყო.

ამბოხების მიზეზი იყო ასევე ის, რასაც პრიგოჟინი ამბობს – ის ვერ ეგუებოდა იმ „ბარდაკს“, რომელიც მთლიანად რუსეთშია შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ოპერატიული მოწყობის კონტექსტიდან გამომდინარე. ეს მისი სიტყვებია.

– „ბარდაკის“ შექმნას თვითონაც ხომ უწყობდა ხელს, როდესაც მას თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შესვლა შესთავაზეს, როგორც სხვა დაჯგუფებები შეიყვანეს და უარი თქვა. შეიძლება ქვეყანაში სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებები არსებობდეს, რომელიც თავდაცვის უწყებას არ ექვემდებარებოდეს? ისეა, როგორც ჩვენთან 90-იან წლებში იყო.

– რაც რუსეთმა ჩვენთან 90-იან წლებში გააკეთა, ახლა ბუმერანგივით უბრუნდება. 90-იან წლებში რუსეთმა საქართველოში ხელი შეუწყო ქაოსის გამოწვევას. მაშინ საქართველოში გარკვეულ გასამხედროებულ ფორმირებებს რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა აკონტროლებდა.

გამსახურდიას წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალებაც, ფაქტობრივად, რუსეთმა მოაწყო. დღეს რუსეთს თავისი ნამოქმედარი ბუმერანგივით უბრუნდება. რუსეთს დღეს ქართული სინდრომი სჭირს – გასამხედროებული ფორმირებები იქმნებიან და რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საშიშ ძალებად ფორმირდებიან.

– რა ინტერესი ჰქონდა პუტინს, კერძო გასამხედროებული დაჯგუფებებისა და სპეცსამსახურების შექმნა რომ დაუშვა?

– პუტინს ინტერესი ჰქონდა, სახელმწიფო და კერძო კორპორაციებით რუსეთის ფარგლებს გარეთ – აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა თუ შუა აზიაში – თავისი ექსპანსიონიზმის პოლიტიკა, ანუ გეოეკონომიკური იმპერიალიზმის პოლიტიკა განეხორციელებინა.

ეს პუტინმა იმიტომ გააკეთა, რუსეთის ფარგლებს გარეთ, ექსპანსიონიზმისთვის დამატებითი ბერკეტები ჰქონოდა.

– გასამხედროებული დაჯგუფებები და სპეცსამსახურები პუტინს პირადადაც ხომ არ ჰქონდა შექმნილი?

– ჩათვალეთ, რომ კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ პუტინის პირადი ინიციატივით შეიქმნა. მისი პირადი, პუტინის კერძო არმია იყო და გადაუდგა.

სხვათა შორის, პრიგოჟინის კერძო სამხედრო დაჯგუფებები გაზპრომის ეგიდით მოქმედებენ. ამბობენ, უკანონოაო, კი ბატონო, ასეა, მაგრამ ფორმალურად მათ აქვთ გაზპრომის კერძო გასამხედროებული ფორმირებების სტატუსი. ეს არავინ იცის, ექსკლუზივია.

– როგორც გამოჩნდა, პუტინმა პრიგოჟინი გაწირა და მხარი შოიგუს დაუჭირა.

– ჯერჯერობით, ასე გამოდის.

– პუტინმა დაღესტანში ძველი ციხე-კოშკები დაათვალიერა. რას ნიშნავს არსებულ რთულ ვითარებაში პუტინის დაღესტანში ვოიაჟი?

– პუტინი ახლა სხვა რეგიონებშიც ჩავა, რათა რეგიონის მოსახლეობას აჩვენოს, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილებას ახორციელებს, სიტუაციას ფლობს. ეს არის პოლიტიკური ლეგიტიმურობის დადასტურების ერთ-ერთი ვარიანტი.

– დასავლელი ლიდერები (ბაიდენი, შოლცი) აცხადებენ, რომ დასავლეთის მიზანია, რუსეთში არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ უკრაინის დამოუკიდებლობა.

– ამაში გარკვეული ლოგიკა არის.

– რა ლოგიკა?

– რუსეთში რეჟიმის შეცვლა და რუსეთის დაშლა დასავლეთსაც არ აწყობს, რადგან, მეტნაკლებად, პუტინის ავტორიტარული რეჟიმი, ბირთვული უსაფრთხოების კონტექსტში, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობას აკონტროლებს. პუტინის რეჟიმი, ჯერჯერობით, ამას ახერხებს.

თუ სხვა, ახალი რეჟიმი, არაკონსტიტუციური გზით მოვიდა, როგორც პრიგოჟინს ჰქონდა განზრახული, არავინ იცის, რას გააკეთებს.

– პრიგოჟინის ამბოხება უბრალოდ ჩაივლის თუ მას გარკვეული გაგრძელებები მოჰყვება?

– მე პრიგოჟინის ამბოხება ვიწინასწარმეტყველე. მგონი, თქვენს გაზეთში ვთქვი, რომ პრიგოჟინი ამბოხებას მოაწყობდა. ერთი თვის წინ, უკრაინის ტელევიზიაშიც განვაცხადე. ახლა უკრაინის ტელევიზიიდან დამიკავშირდნენ და აინტერესებდათ, საიდან ვთქვი, რომ პრიგოჟინი გადატრიალებას მოაწყობდა.

– საიდან თქვით?

– პრიგოჟინის მრჩეველი და მეგობარი ვარ-მეთქი რომ გითხრათ, დამიჯერებთ?

– არა, მაგრამ რამ გაფიქრებინათ?

– თუ მაღალი დონის სპეციალისტი, მაღალი დონის ანალიტიკოსი ხარ, ასეთი რაღაცები უნდა გათვალო და პროგნოზირება შეძლო. არ დაგავიწყდეთ, რომ მე ვარ პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერებების დოქტორი.

– ანუ რუსეთში პრიგოჟინის ამბოხების გამოძახილი იქნება.

– მეორე რაუნდი იქნება. ამის გარანტიას გაძლევ.

– მეორე რაუნდი რა შეიძლება იყოს?

– მეორე რაუნდში შესაძლოა სხვადასხვა პოლიტიკურ კლანებსა და დაჯგუფებებს შორის მწვავე დაპირისპირება მოხდეს, რამაც პროცესები შეიძლება კიდევ უფრო დააჩქაროს. შეიძლება პრიგოჟინი რუსეთის ფედერაციაში კიდევ დაბრუნდეს და ცრუ დიმიტრის როლი მოირგოს, როდესაც რუსეთის სამეფოში არეულობები დაიწყო.

– თქვენი აზრით, რუსეთში მომხდარმა ამბოხებამ უკრაინის ფრონტებზე რა გავლენა იქონია?

– ჯერჯერობით, მაინცდამაინც, არავითარი გავლენა არ მოუხდენია, სამწუხაროდ. შეიძლება მერე იქონიოს.

2023, 3 ივლისი, №128

სალომე ზურაბიშვილი: „სააკაშვილმა სასჯელი უნდა მოიხადოს“

მარიამ მჭედლიშვილი

დააკავეს ‘გარდაცვლილი პროგრამისტის, თაშარ ბაჩალიაშვილის საქმის გამომძიებელი სერგო შუბითიძე. მას ედავებიან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლას მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემით. წინა თვეში შუბითიძემ „ფორმულაში“ განაცხადა, რომ თაშარ ბაჩალიაშვილის თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა.

სააკაშვილის უკრაინაში გადაყვანის საკითხმა უადგილოდ წამოიწია

კლინიკაში მყოფი პატიმარი პრეზიდენტის სამკურნალოდ უცხოეთში გადაყვანის საკითხი საქართველოში დღის წესრიგიდან მოხსნილია. ამასთან, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი წინა კვირაში ამაზე ისევ საუბრობდა, რაც უადგილოა.

ვითარება სტრასბურგის სასამართლომ ამოაყირავა. სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანა. ივნისის შუა რიცხვებში სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ საქართველოს პოლიტიკაში აქტიურდება. მისი საზღვარგარეთ გადაყვანასა და გათავისუფლებაზე სააკაშვილის გარემოცვა აღარ ლაპარაკობს.

პოდოლიაკი:

– უკრაინის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, უკრაინა მზადაა, მიიღოს თავისი მოქალაქე. მეც ყოველ ჯერზე ამას ვამბობ. ასევე, მზად ვართ, გავაგზავნოთ ჩვენი ექიმები ან დავეხმაროთ მას საზღვარგარეთ კლინიკაში გადასაყვანად.

❖ ❖ ❖

საქართველოს სანქციების შესრულების კოორდინატორები ეწვივნენ

– ვიზიტის მიზანია, პირდაპირი კომუნიკაცია და თანამშრომლობითი დიალოგის დამყარება, – ასე დაახასიათა სანქციების კოორდინატორთა ვიზიტი აშშ-ის საელჩომ.

საქართველოში ჩამოვიდნენ აშშ-ის სახდეპის სანქციების კოორდინაციის ოფისის ხელმძღვანელი ჯეიმს ო’ბრაიენი, ევროკავშირის სანქციების დესპანი დევიდ ო’სალივანი და დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელი კუმარ აიერი.

მანამდე ცოტა ხნით ადრე აშშ-ის სახდეპის სანქციების კოორდინაციის ოფისმა საქართველო დაასახელა იმ 5 ქვეყანას შორის, რომლებიც რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებიან.

შეხვედრების შემდეგ სტუმრებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ საქართველომ უნდა გაამკაცროს კონტროლი რუსეთისკენ შიმავალ ტვირთებზე, განსაკუთრებით – ხმელეთზე.

ხაზი გაესვა ელექტროტექნიკის რუსეთში მოხვედრის დაუშვებლობას. არსებობს 28 დასახელების ელექტრომოწყობილობები, რომელთა ჩიპებსაც რუსეთი სამხედრო მიზნებისთვის იყენებს. გაზრდილია ამ საქონლის ტვირთბრუნვა. სანქციების შესრულების კოორდინატორები ამის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ.

სტუმრების ვიზიტი დაემთხვა ევროკავშირის სანქციების ახალი პაკეტის ამუშავებას. ის ითვალისწინებს სასანქციო ზომებს სანქციების დამრღვევი ქვეყნების მიმართ. ამასთან, ევროკავშირში შეთანხმდნენ, რომ ასეთ სახელმწიფოებთან ჯერ დიპლომატიურად იმუშავებენ, თუ ამან არ გაჭრა, მაშინ გადამჭრელ ზომებს აამოქმედებენ.

❖ ❖ ❖

პრემიერი პარლამენტში

30 ივნისს პარლამენტის წინაშე წლიური მოხსენებით წარსდგა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მისი მოხსენება, ტრადიციისამებრ, სავსე იყო ინფრასტრუქტურული წარმატებებითა და ნაცმოძრაობის გაკიცხვით. მისი სიტყვებით, საქართველოს ბოლო 2 წლის განმავლობაში 10%-იანი ეკონომიკური ზრდა აქვს.

ღარიბაშვილის გამოსვლას ახლდა გაწევ-გამოწევა სხდომათა დარბაზში დეპუტატებს შორის, ასევე აქცია პარლამენტთან. გარეთ შეკრებილები უმეტესად ნაცმოს წევრები იყვნენ. მათი ერთ-ერთი სლოგანი იყო „თავისუფლება მიშას“. ამავე მოხსენებას დროში დაემთხვა კასპში განვითარებული მოვლენები.

პრემიერი არანაცმოძრაობის წევრ ოპოზიციონერებსაც გადასწვდა და ისინი ლგბტ-პროპაგანდაში დაადანაშაულა.

ამის საპასუხოდ დეპუტატმა ხათუნა სამნიძემ აღნიშნა, რომ ისინი პროპაგანდისტები კი არა, თანასწორობის მომხრეები და ვინმეს ჩაგვრის წინააღმდეგები არიან.

– ჩვენი შვილების მომავლისთვის გინდათ საბჭოთა კავშირი ამ ქვეყანაში, სადაც იჩაგრებიან ადამიანები და საკუთარი შვილებისთვის გინდათ საუკეთესო უმაღლესი განათლება აშშ-ში. ეს არის ფარისევლობა და პროპაგანდა. სანამ პროპაგანდისტებს დაგვიძახებთ, საკუთარ რიტორიკას მიხედეთ, – მიმართა პრემიერს სამნიძემ.

ოპოზიციის განცხადებების მოსმენის შემდეგ, პრემიერი შეეცადა, თავი დაეღწია შემდგომი კონფრონტაციისთვის. მან განაცხადა:

– ჩვენ ჩვენი მხრიდან უფრო მეტი გონიერება უნდა გამოვიჩინოთ. მეტი მოთმინება გვმართებს, ვინაიდან ჩვენ ვართ ხელისუფლება. მე არავის ვუპასუხებ. ძალიან სამწუხაროა, როდესაც შვილებზე გადადიან. ეს მიუღებელია. მინდა ჩვენს მტრებს ვუსურვო მშვიდობა, ჯანმრთელობა. მათ შვილებს მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, წარმატება, ბედნიერი მომავალი და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება.

❖ ❖ ❖

ძალადობის ახალი ტალღა საქართველოში

გასულ კვირას ძალადობა გრძელდებოდა. თავდასხმა მოხდა „ფორმულას“ დამფუძნებელსა და ტელეწამყვან მიშა მშვილდაძეზე.

თავდასხმის ფაქტის გამოძიება შსს-ს უკვე დაწყებული ჰქონდა, რომ სოცქსელებში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც დანაშაული აღიარა. ზურაბ გუგეშაშვილმა გამოაცხადა, რომ ეს პატრიარქის გამო ჩაიდინა.

გუგეშაშვილს ბრალი ძალადობის მუხლით წაუყენეს.

ამ საქმეზე გამართულ სასამართლოს სხდომაზე მივიდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველო უპირველეს ყოვლისას“ ერთ-ერთი ლიდერი ვატო შაქარიშვილი და მისი თანამოაზრეები. ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ გუგეშაშვილს და თავდებშიც კი ჩაუდგნენ.

თავდასხმა მოხდა ასევე ნაციონალური მოძრაობის სამეურნეო სამსახურის თანამშრომელ დავით ოსიყმაშვილზე. ოსიყმაშვილი სასტიკადაა ნაცემი. მისი დამწიოკებელი ჯერ არ დაუკავებიათ.

კვირის ბოლოს კოლექტიური ცემა-ტყეპა გაიმართა კასპში, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი სხვა თანაპარტიელებთან ერთად ხალხს ხვდებოდა და პარტიის საპენსიო პროგრამას აცნობდა.

ნაციონალებზე ორგანიზებული იერიში ადგილობრივებმა მიიტანეს. ისინი საჯარო სამსახურებისა და მმართველი პარტიის წევრები ‘არიან.

გააგრესიულდა მმართველი პარტიის ლექსიკაც. მაგალითად, პარლამენტის წევრი ბექა ოდიშარია იმუქრება, რომ მათ, ვინც მათ პრორუსებს დაუძახებს, თავპირს დაუმტვრევს.

❖ ❖ ❖

იაგო ხვიჩია და გრიგოლ ვაშაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

პარლამენტის კულტურის კომიტეტში ხმაური იყო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას. კომიტეტმა საბოლოოდ მას მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა.

მოქმედ კანონში შემოდის ცვლილება, რომელსაც კულტურის სფეროს წარმომადგენლების ნაწილი აპროტესტებს.

მუსიკოსები აცხადებენ, რომ ახალი კანონმდებლობა გზას უხსნის რუსულ კომპანია „გერას“, რაც დაუშვებელია. მათი შეფასებით, ამით ხდება საავტორო უფლებებისა და ინტელექტის ოკუპაცია.

დეპუტატები გრიგოლ ვაშაძე და იაგო ხვიჩია ერთმანეთს ამ საკითხის გამო შეებნენ. მათ ერთმანეთს „უზრდელი“ და სხვა სიტყვები ეძახეს.

კანონპროექტის მომხრე ხელოვანები აცხადებენ, რომ ხსენებული კანონი აწესრიგებს და გამჭვირვალეს ხდის ამ სფეროს საქმიანობას და ის დიდი ხნის წინ უნდა მიღებულიყო.

– როგორ შეიძლება რუსული ფულით ჩემი ინტელექტის ოკუპაცია. ეს არ მოხდება, – აცხადებს კანონის მხარდამჭერი მომღერალი და კომპოზიტორი ირმა სოხაძე.

❖ ❖ ❖

დაღუპული ქართველების ცხედრები სამშობლოში ჩამოასვენეს

უკრაინის ომში დაღუპული კიდევ ორი ქართველის – მალხაზ კვიჟინაძისა და ჯონი ოდიშვილის ცხედრები 1 ივლისს საქართველში ჩამოასვენეს.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ იქ 46 ქართველი დაიღუპა.

❖ ❖ ❖

მოქმედი პრეზიდენტი მესამე პრეზიდენტზე

მედიასთან შეხვედრისას პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა სასჯელი ღირსეულ პირობებში უნდა მოიხადოს.

– მიმაჩნია, რომ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, უნდა ჰქონდეს ის პირობები, რაც სხვა ქვეყნებში ნორმალურ პირობებად არის მიჩნეული. თუნდაც, ელექტრონული სამაჯური. მან სასჯელი უნდა მოიხადოს და დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა გაჩნდეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: რატომ აღარ ამბობთ არაფერს, გადარჩა სააკაშვილი თუ აღდგა?

– აი, ეს არის სახე ჩვენი დეგრადირებული, გაუბედურებული ოპოზიციის, თუ ვინმემ რამე ანტიქართული გააკეთა ბოლო 30 წლის განმავლობაში, ვინც ყველაზე მეტად დააზიანა ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ეს არის აი ეს ძალა, ეს არის მტრული, შიდა მტრული ძალა, რომელმაც ძალიან ბევრი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დესტრუქციული ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა იყო.

– ახლა, რაც შეეხება მათ ქმედებას და კიდევ გავაგრძელებ, ყველაზე მეტად რატომ არ სურთ ამ თემაზე საუბარი, იმიტომ, რომ მათ იციან ყველაზე უკეთესად, რომ მათ ჩაიდინეს ღალატი ჩვენი ეროვნული ინტერესების. თუ რაიმე დარჩენიათ, აი ამ გაუბედურებულ ოპოზიციას, მე ასე ვეძახი მათ, მართლაც გაუბედურებული, საცოდავები ხართ, იმიტომ, რომ არაფერი სათქმელი აღარ აქვთ არც ერთი მიმართულებით. ბოლო პერიოდი, თქვენ რა ჩაიდინეთ, თქვენ გესმით, რამხელა ზიანი მიაყენეთ ჩვენს ქვეყანას. თქვენი ბელადის კამპანია, რომ კვდება, მოვწამლეთ, ვაწამეთ. ამაზე სად ხართ, რატომ აღარ ამბობთ არაფერს, გადარჩა სააკაშვილი თუ აღდგა? აი ეს არის სახე ჩვენი დეგრადირებული, გაუბედურებული ოპოზიციის, დესტრუქციული ოპოზიციის. სათქმელი არაფერი აქვთ, უსუსური მცდელობა არის, რომ რაღაც მარტივი შეურაცხყოფებით, პირად შეურაცხყოფებზე გადმოდიან, სხვა სათქმელი არაფერი აღარ აქვთ.

ამიტომ, თუ ვინმემ რამე გააკეთა ანტიქართული, აგერ არის ეს ძალა. თუ ვინმემ რამე ანტიქართული გააკეთა ბოლო 30 წლის განმავლობაში, ვინც ყველაზე მეტად დააზიანა ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ეს არის აი ეს ძალა, ეს არის მტრული, შიდა მტრული ძალა, რომელმაც ძალიან ბევრი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები ჩააბარა, რუსული ჯარი გასული იყო 2007 წელს... მომისმინონ ქალბატონებმა, ეს ტაქტიკა აქვთ თანაც, ქალბატონებს მოგვიქსევენ შეურაცხყოფებით და შემდეგ ელოდებიან რეაქციას, ეს ძალიან მარტივი პროვოკაციებია, მე არ ვაპირებ თქვენზე ემოციების დახარჯვას. მე მინდა ხალხს ველაპარაკო და ჩვენს კოლეგებს შევახსენო კიდევ ერთხელ თქვენი მოღალატეობრივი საქმიანობა. ტერიტორიები ჩააბარეს, 2007 წელს გავიდა რუსული ჯარი ქვეყნიდან, რამდენიმე თვეში შეამოაბრუნეს რუსული ჯარი, აი ამათ, ამ ადამიანებმა. მე ვიყავი თავდაცვის მინისტრი, მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი ორჯერ და ძალიან კარგად ვიცი ყველა თქვენი ნაბიჯი, რაც გაკეთებული გაქვთ. სამწუხაროდ, ესეც ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვის მიზნით, ბევრი რამის თქმა არ შეიძლება, არ ვიტყვი, მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ თქვენ ძალიან დიდი შეცდომები, კი არა, მე ვიტყოდი ღალატი ჩაიდინეთ, – განაცხადა პრემიერმა.

„ივანიშვილი არჩევნების წინ გუნდს შეცვლის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მიუხედავად ამისა, ახლა ეს არის მითითება. ეს არის გაგრძელება რუსული პოლიტიკისა. ამიტომ, რასაკვირველია, საპატრიარქო იქნება ამ ბრძოლის ავანგარდში. ამ დროს, მე არ მომისმენია არც ერთი განცხადება, არც ერთი განგაშის ზარი იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო პერიოდია ჩვენ გვაქვს ანომალიური შემთხვევები და ამის წარმოუდგენლად ზრდა – პედოფილია. ამ ქვეყანაში მცირეწლოვან მოზარდებზე ძალადობენ! დღე არ გავა, რომ მსგავსი არ გავიგოთ. საერთოდ, ერთი განცხადება ამასთან დაკავშირებით საპატრიარქოსი არ ყოფილა! როგორ უნდა დავიჯეროთ საპატრიარქოს გულწრფელობა? როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ ის მართლა შეშფოთებულია ამ ქვეყნის მომავლით, როდესაც ამ ტიპის ქმედებებზე ხმას არ იღებს?! როგორც რუსეთის სახელმწიფოა მოძალადე, რომელიც ძალადობს ქვეყნის შიგნით თავის მოსახლეობაზე, ზუსტად ასე იქცევა საქართველოში რუსული პოლიტიკის გამტარებელი ყველა ინსტიტუცია – ხელისუფლებიდან დაწყებული, საპატრიარქოთი დამთავრებული! უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ საპატრიარქოთი დაწყებული და ხელისუფლებით დამთავრებული! კაცმა არ იცის, ვის მეტი ღვაწლი აქვს საქართველოში რუსული პოლიტიკის გატარების. თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ივანიშვილს სულ სხვაგვარი შკალა აქვს ღირებულებების, ამიტომ მისთვის მარადიული არაფერი არის. მათ შორის, არც ქვეყნის ინტერესების დაცვა და არც ქრისტიანული ღირებულებების. მისთვის მარადიულია მხოლოდ ფული და ფინანსური კეთილდღეობა. ამიტომ ის მოიქცევა ისე, რომ მაქსიმალურად შეძლოს ამ ყველაფრის შენარჩუნება. ამიტომ, რაც მეტი პრობლემა შეექმნება რუსეთს, ის ყველაფერს გააკეთებს მისგან დისტანცირებისათვის.

– თქვენ ახსენეთ ოპოზიცია და ბრძანეთ, რომ თუკი ივანიშვილმა შეცვალა სცენარი, ოპოზიციას ძალიან გაუჭირდებაო. როგორია ოპოზიციის როლი ამ სიტუაციაში? რამდენად სწორად აფასებენ პროცესებს და რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან შექმნილ ვითარებას?

– ეს ყველაზე რთული საკითხია, რომელზედაც მომიწევს პასუხის გაცემა. მოკლედ, პრემიერ-მინისტრის ანგარიშმა მე საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ოპოზიციას პრიორიტეტები ნამდვილად არა აქვს დალაგებული და თუ მან ეს არ გამოასწორა სასწრაფოდ, ძალიან გაუჭირდება 2024 წლის არჩევნებზე წინააღმდეგობის გაწევა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ქვეყნის ეკონომიკა თითქმის 30 მილიარდი ლარით გაიზარდა“

– ბოლო ორი წელი გვაქვს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, 10%-იანი ეკონომიკური ზრდა. სამი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა თითქმის 30 მილიარდი ლარით გაიზარდა, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ეკონომიკური აქტივობის მაღალ ზრდასთან ერთად, გაიზარდა ინკლუზიურობა და შემცირდა როგორც უმუშევრობის დონე, ასევე სიღარიბე.

– უმუშევრობის დონე, წინა წელთან შედარებით, შემცირდა მნიშვნელოვნად და მიაღწია ისტორიულ მინიმუმს – 17.3%-ს. აქვე შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, როდესაც ჩვენ ჩავიბარეთ ხელისუფლება, უმუშევრობის დონე თითქმის 27% იყო. ბოლო ათ წელში სიღარიბის დონე თითქმის განახევრდა, ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა თავი დააღწია სიღარიბეს, უფრო ზუსტად, 535.000-მა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, აუცილებელია, რომ პორტების გამტარუნარიანობა გაიზარდოს.

– რაც შეეხება ანაკლიის პორტს, ამის თაობაზე მე არაერთხელ განვაცხადე, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და პორტის მშენებლობა დაიწყება წელს, მთავრობის დაფინანსებით. აქედან 51% იქნება მთავრობის საკუთრება, დანარჩენზე ჩვენ გამოვაცხადეთ უკვე ინტერესთა გამოხატვა და ახლა მიმდინარეობს აქტიურად დამუშავება ამ საკითხების, მათ შორის, სერიოზული ინვესტორისგან გამოითქვა ინტერესი, თუმცა, ამ ეტაპზე არ ვართ იმ კონდიციაში, რომ ეს ინფორმაცია გავასაჯაროთ.

აუცილებელი არის, რომ პორტების გამტარუნარიანობაც გაიზარდოს და სწორედ ამ მიზნით ჩვენ დავიწყებთ ანაკლიის პორტის მშენებლობას. ასევე ფოთის პორტის ინვესტორის მხრიდან გამოითქვა, მფლობელის მხრიდან გამოითქვა ინტერესი, სურვილი, მზაობა, შეიძლება ასეც ითქვას, რომ მათაც განახორციელონ ინვესტიციები, ფოთის პორტის განვითარებისა და გაფართოების, ასე რომ, ამ მიმართულებით სერიოზული წინსვლა გვექნება მომდევნო წლების განმავლობაში. ქვეყანა უნდა იყოს მზად დაგეგმილი მემორანდუმისა და ხელმოწერილი საგზაო რუკის შესაბამისად, 2027 წლისთვის უნდა იყოს გამართული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, საგზაო, რკინიგზა, პორტები. აი, ეს არის ჩვენი ხედვა და ჩვენი გეგმა, რომელსაც თანმიმდევრობით მივყვებით, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის განცხადებით, „შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის“ პროექტს სრული მხარდაჭერა აქვს გამოცხადებული ბრიუსელიდან.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი ისტორიული პროექტი, რომელიც ბოლო 30 წელიწადში განხორციელდება.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტი გაზრდილი არის და შეადგინა 880 მილიონი ლარი.

– წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტი გაზრდილი არის და შეადგინა 880 მილიონი ლარი. დღეისათვის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოცული არის მოსახლეობის 95%-მდე. პროგრამის დაწყებიდან, 3 მილიონ მოქალაქეს დავუფინანსეთ 11 მილიონი სამედიცინო შემთხვევა და ამაში ბიუჯეტიდან გადავიხადეთ 7 მილიარდი ლარი. ანუ ჩვენი ქვეყნის 3 მილიონმა მოქალაქემ დაზოგა 7 მილიარდი ლარი ბოლო 10 წელიწადში. ეს არის ძალიან სერიოზული შედეგი, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

– ბავშვთა ასაკის ონკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად შევიმუშავეთ ჩვენ პროექტი, რომლის ფარგლებშიც, საქართველოში თანამედროვე სტანდარტების ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრის გახსნამდე, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვი, საზღვარგარეთ, მაღალტექნოლოგიურ კლინიკებში, სრულყოფილ მკურნალობას სახელმწიფო დაფინანსებით მიიღებს, სრულად დაფარავს ბიუჯეტი ამ ხარჯებს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, „ბლექ სი არენამ“ დაიწყო მასშტაბური ორწლიანი კამპანია, ამისთვის სავარაუდო ბიუჯეტი არის 70 მილიონი ლარი.

– დღეს შესაძლებლობა მოგვეცა, გვესაუბრა მიღწევებზე, ვფიქრობ, შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის დამაკმაყოფილებელი, ჩვენ კიდევ მეტი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ხალხისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პარლამენტში განაცხადა, სადაც ანგარიშით წარსდგა და დეპუტატებს დასკვნითი სიტყვით მიმართა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მთავარია მშვიდობის შენარჩუნება, რომელიც ხელისუფლებამ შეძლო და ეს არის ქვეყნის განვითარების საფუძველი.

– მე ვფიქრობ, მიუხედავად ჩვენი დესტრუქციული, რადიკალური ოპოზიციის მცდელობისა, მათი პროვოკაციებისა, საინტერესო დღე გვქონდა. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, რომ კიდევ ერთხელ ჩვენს ხალხს, ჩვენს დეპუტატებს, პარლამენტს ჩავაბაროთ ანგარიში, გვესაუბრა იმ მიღწევებზე, რომელზეც ჩვენ დღეს ვისაუბრეთ. ვფიქრობ, შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის დამაკმაყოფილებელი შედეგები, ჩვენ კიდევ მეტი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ხალხისთვის. რჩება ბევრი გამოწვევა ქვეყანაში, როგორიც არის სიღარიბე, უმუშევრობის კვლავაც მაღალი დონე, სხვა გამოწვევები, რომელიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას, ქვეყნის გამთლიანებას, გაერთიანებას. ასევე, რა თქმა უნდა, ჩვენ ვისაუბრეთ ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეულ პროგრესზე და ასევე, მოსალოდნელ შედეგზე, რომელზეც ჩვენ ყველანი ერთად ვმუშაობდით და ვმუშაობთ. მთლიანობაში, მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენთვის მთავარია მშვიდობის შენარჩუნება, რომელიც ჩვენ შევძელით და შევინარჩუნეთ, განვამტკიცეთ სტაბილურობა, რომელიც არის საფუძველი ჩვენი ქვეყნის განვითარების. მშვიდობისა და სტაბილურობის გარეშე, რა თქმა უნდა, არც ეკონომიკური განვითარება იქნება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა პოლარიზაციაზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად მმართველი გუნდის მცდელობისა, დესტრუქციული ოპოზიცია ცდილობს ყველაფერს, რომ მოახდინოს პროვოცირება.

– პოლარიზაციის ხარისხზე მინდა ვთქვა, კიდევ ერთხელ, ჩვენთვის ყველასთვის არ არის სასიამოვნო პირადი შეურაცხყოფების მოსმენა, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ჩვენი დესტრუქციული, ხელმოცარული და მართლაც, დეგრადირებული ოპოზიცია ცდილობს ყველაფერს, რომ რაიმენაირად მოახდინონ პროვოცირება, ადამიანს მიაყენონ შეურაცხყოფა. მათ არაფერი არ დარჩენიათ, გარდა ერთისა, რომ რაიმენაირად კიდევ უფრო მეტი პოლარიზაცია შემოიტანონ, დაძაბულობა, შფოთვა, ქაოსი, არეულობა. შემთხვევით არ დავარქვით ამ ადამიანებს და მათ პარტიას ომის პარტია, ნგრევის, ქაოსისა და სიკვდილის პარტია. ყველა ის უბედურება, რაც მათ მოუტანეს ჩვენს ქვეყანას და რაც მათ მმართველობას უკავშირდება. მაგრამ ჩვენ, ჩვენი მხრიდან, კიდევ უფრო მეტი გონიერება უნდა გამოვიჩინოთ, მეტი მოთმინება გვმართებს, ვინაიდან, ჩვენ ვართ ხელისუფლება. მე არავის ვუპასუხებ, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, როდესაც შვილებზე გადადიან. ეს მიუღებელია. ეს არის წითელი ხაზი, ეს ყოველგვარი ამორალურობისა და უზნეობის დამახასიათებელია, მაგრამ მე მინდა ყველა ჩვენს მტერს ვუსურვო მშვიდობა, ჯანმრთელობა, მათ შვილებს მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა. პირველ რიგში, წარმატება, ბედნიერი მომავალი და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, – განაცხადა პრემიერმა.

თამაზ გაიაშვილი: „იმედია, უკრაინის უსამართლო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის სარკისებური პასუხი მოჰყვება“

ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ დამფუძნებელი თამაზ გაიაშვილი უკრაინის მიერ მისი და კომპანიის დასანქცირებას ეხმაურება.

თამაზ გაიაშვილი:

– მე 2003 წლიდან აღარც „ჯორჯიან ეარვეისის“ დამფუძნებელი ვარ და აღარც გენერალური დირექტორი, მე მხოლოდ საფრენოსნო სამსახურის უფროსის თანამდებობა მიკავია. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უკრაინის მიერ სანქცირებულთა სიაში ჩემი ან ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ შეყვანა აბსურდი და უსამართლობაა. აქვე მინდა გამოვხატო წუხილი იმის გამო, რომ ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკური სარჩული აქვს. რუსეთში ფრენებს ახორციელებენ თურქეთის, არაბული სახელმწიფოების, ისრაელის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მთელი აზიისა და შუა აზიის ავიაკომპანიებიც, რომლებიც ასობით რეისს ასრულებენ, მაგრამ მათ სანქციების დაწესებას ვერ კადრებენ. არც მე და არც „ჯორჯიან ეარვეისს“ პოლიტიკასთან შეხება არ გვაქვს. ჩვენ ოცდაათი წელიწადია, კეთილსინდისიერად ვემსახურებით ქართველ ხალხსა და საქართველოს მთავრობას. დასასრულს, იმედს ვიტოვებ, რომ უკრაინის პრეზიდენტის ამ უსამართლო და უსაფუძვლო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის მყისიერი და სარკისებური პასუხი მოჰყვება.?

თამარ მეფის ორდენი ლიტერატურის მუზეუმში იქნება დასული

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სომ, შულენბურგმა, გალენმა და ლეგიონის დაშლის შემდეგ ლეგიონის ყველა წევრმა.

ორდენი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრებით 1918 წელს კავკასიაში მყოფი გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისიის წევრთა შორის.

რადგან სოციალისტები ორდენებს ცუდი თვალით უყურებდნენ და განსაკუთრებით იმის გამო, რომ ორდენი დაარსებული იყო „ნაციონალისტური“ ქართული კომიტეტის მიერ (უნდა ითქვას, რომ 1918 წელს მთავრობა დიდი ხალისით ურიგებდა ცარისტულ გიორგის ჯვრებს წარჩინებულ ქართველ სამხედროებს), საქართველოს სამხედრო სამინისტრო ძლივს დაითანხმეს, ორდენი, როგორც სამახსოვრო ნიშანი, მიენიჭებინა ყველა იმ გერმანელი სამხედროსათვის, ვინც საქართველოში იყო 1918 წლის დეკემბრისათვის. რადგან საქართველოს სახელმწიფოს ორდენების დამზადების ფული და დრო არ ჰქონდა, გერმანელებს მხოლოდ სიგელები დაურიგეს, მათ კი თვითონ უნდა შეეკვეთათ ოქრომჭედელთან და ეყიდათ გერმანიაში თავიანთი ჯილდო. ამის გამოც არსებობს ორდენის სხვადასხვანარი გაფორმება – ღარიბულიდან ძალიან მდიდრულამდე.

თამარ მეფის ორდენი, რომელიც, გერმანელი დიპლომატის ვიპერტ ფონ ბლიუხერის თქმით, „თავისი სიდიდითა და მდიდრულობით ყველა გერმანულ სამხედრო დეკორაციას ჩრდილავდა“, საქართველოს ისტორიაში პირველი ორდენი იყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამართალი

თბილისში მოტოციკლეტი მეეზოვეს დაეჯახა

თბილისში, გიორგი ტოვსტონოგოვის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მოტოციკლეტი მეეზოვეს დაეჯახა.

ადგილზე მობილიზებულია სასწრაფო და პოლიცია. სხვა დეტალები, ჯერჯერობით, უცნობია.

არასრულწლოვანის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ მამაკაცს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

არასრულწლოვანის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ მამაკაცს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

დაცვის მხარე 100.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა, თუმცა, მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

პროცესი დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა.

შეგახსენებთ, რომ 43 წლის კაცი 13 წლის მოზარდზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს. არასრულწლოვანი 4 თვის ორსულია.

საქმეზე გამოძიება 137 მუხლის მე-4-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გრძელდება, რაც, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვანის გაუპატიურებას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, კაცს 15-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

მიშა მშვილდაძეზე ძალადობის ბრალდებით დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა

ტელეკომპანია „ფორმულას“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, მიშა მშვილდაძის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე დაკავებულ ნიკოლოზ გუგეშაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დავით კურტანიძემ მიიღო.

სასამართლო პროცესზე პროკურატურა დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, დაცვის მხარე კი მისი 20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას. მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ცნობისთვის, 27 ივნისს, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ნიკოლოზ გუგეშაშვილმა, საჯარო სივრცეში გაკეთებული განცხადებების გამო, ტელეკომპანია „ფორმულას“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, მიშა მშვილდაძის მიმართ ძალადობა განახორციელა.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარედგინა (ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია).

სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურებაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამკაცრდა

სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურებაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამკაცრდა.

ამ მიმართულებით „სისხლის სამართლის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო.

„სისხლის სამართლის კოდექსის“ 187-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებით, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – დაისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე, გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, შინაპატიმრობით, ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, არაერთგზის, ჯგუფურად – გამოიწვევს დაჯარიმებას თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

რუსები ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე დივერსიებს ამზადებენ?!

რუსების მდგომარეობა უკრაინის ფრონტზე გართულდა. ამას უკვე კრემლიც აღარ მალავს. ასე მაგალითად, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა პატრუშევმა აღნიშნა, რომ ფრონტზე მდგომარეობა კრიტიკულია. დონბასს დაემატა ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებიც, ხერსონსჩინაზე კი, დნეპრის მარცხენა ნაპირზე, უკრაინელებმა დესანტი გადასხეს. მათი შეჩერება ვერ ხერხდება.

პატრუშევის მოადგილე მედვედევმა, თავის მხრივ, აღიარა, რომ ვითარება მართლაც მძიმეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ომს წავაგებთო.

აღნიშნული „ნააზროვნები" გაანავრცო ოდიოზურმა რუსმა პროპაგანდისტმა სოლოვიოვმა. მან განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა უკრაინის ტერიტორიაზე დივერსიები უნდა გააქტიურდეს და დარტყმები უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღების ცენტრებზე (პრეზიდენტის ადმინისტრაცა, პარლამენტი, გენშტაბი), არამედ ატომურ ელექტროსადგურებზე, მაგალთად, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე.

რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიის დაცლა დაიწყეს. ატომური ელექტროსადგური უკვე დატოვეს როსატომის თანამშრომლებმა. უკრაინული მედია ამტკიცებს, რომ მზადდება დივერსიების კასკადი, შედეგად, ჰაერში რადიაციის გაჟონვა მოხდება.

რუს პროპაგანდისტს ბანი მისცა აშშ-ს ექსპრეზიდენტმა ტრამპმა. მან განაცხადა, რომ რუსეთი ატომური ქვეყანაა და გააჩნია როგორც რაკეტები, ასევე ბირთვული იარაღი. თუ მოსკოვმა მთელი ეს არსენალი აამოქმედა, ამით უკრაინაც ძლიერ დაზარალდება და მთელი მსოფლიოც.

აშშ-ს ექსპრეზიდენტს არც ერთი სერიოზული ექსპერტი არ დაეთანხმა. ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური ევროპაში ერთ-ერთი უდიდესია. მასზე დივერსიაც არა მხოლოდ უკრაინას, არამედ ევროპასა და თავად რუსეთსაც დააზარალებს.

უკრაინა მოუთმენლად მოელის დასავლურ ავიაგამანადგურებლებს

უკრაინული არმიის სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს" ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა, რომ აღიზიანებს ზოგიერთი დასავლელი ვაი-ექსპერტის განცხადებები, რომ უკრაინული კონტრშეტევა ნელა მიმდინარეობს.

– მტერს, ჩვენთან შედარებით, რიცხობრივი უპირატესობა აქვს! ავიაციაც ჩვენზე მეტი აქვს! ასეთ ვითარებაშიც კი კონტრშეტევას ვავითარებთ და ყოველდღე 500 მეტრით წინ მივიწევთ! – თქვა ზალუჟნიმ.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ ავიაციის გარეშე წარმატებული კონტრშეტევის განხორციელება შეუძლებელია. უკრაინა მოუთმენლად მოელის დასავლურ ავიაგამანადგურებლებს, განსაკუთრებით R-16-ს.

ბახმუტი მთლიანად დანგრეულია

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. ყველაზე მწვავე ბრძოლები კვლავ დონბასშია, კერძოდ, ავდეევკასთან, მარინკასთან და ბახმუტთან. თუ სულ რაღაც ერთი თვის წინ რუსი ოკუპანტები უტევდნენ, ახლა ვითარება შეიცვალა. დღეს მთელს ფრონტზე უკვე უკრაინელები უტევენ.

უკრაინელები განაგრძობენ წინსვლას ბახმუტში. ეს თანაბრად შეეხება როგორც თავად ქალაქს, ისე მის გარეუბნებსაც. უკრაინელმა მეომრებმა აღმართეს ეროვნული დროშა კურდიომოვკის დამბაზე (მდებარეობს ბახმუტიდან 13 კმ-ს დაშორებით). თავად უკრაინელები გაიჭრნენ ქალაქის ცენტრამდე, მაგრამ იქ გამაგრება შეუძლებელია. მთელი ცენტრი ნანგრევებითაა მოფენილი.

რაც შეეხება ბახმუტის ფლანგებს, აქ უკრაინელები სულ უფრო წინ მიიწევენ. უკრაინელი სამხედრო ექსპერტის სვიტანის ცნობით, ბახმუტი მალე ოპერატიულ ალყაში მოექცევა.

უკრაინელთა წინსვლა გრძელდება ავდეევკასთან და მარინკასთანაც. ავდეევკასთან უკრაინელებმა კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს. უკრაინელთა წინსვლა მიმდინარეობს დონბასის სამხრეთ მიმართულებითაც.

უკრაინელი ხალხის მოღალატემ და ხერსონსჩინის გუბერნატორმა სალდომ მორიგი დეზინფორმაცია გაავრცელა. მან განაცხადა, თითქოს რუსმა ოკუპანტებმა ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირი გაწმინდეს.

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, რუსები მართლაც ცდილობენ ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირიდან უკრაინელთა განდევნას. ეს სრული მარცხით დასრულდა. მეტიც, უკრაინელები დაკავებულ ტერიტორიაზე გამაგრდნენ. ამით ფაქტიურად შეიქმნა პლაცდარმი შემდგომი წინსვლისათვის.

სასიამოვნო ცვლილებებია ზაპოროჟიეს ოლქშიც. აქ ღამით უკრაინელებმა მნიშვნელოვანი გარღვევა განახორციელეს და რიგი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. რუსი ოკუპანტები დიდ ზარალს განიცდიან და უკან იხევენ.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.042; თვითმფრინავები – 315; ვერტმფრენები – 308. განადგურებულია – 229.000 ოკუპანტი.

აღსანიშნავია ტერორისტული ორგანიაცია „ვაგნერის" დანაკარგები უკრაინაში. პრეზიდენტ ზელენსკის ცნობით, მოკლულია 21.000 ვაგნერელი, დაიჭრა 80.000.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

არეულობა საფრანგეთში

საფრანგეთში მასიური გამოსვლები გრძელდება. საბაბი გახდა პოლიციელთა მიერ მოზარდის მკვლელობა. არეულობა მთელს ქვეყანას მოედო. დემონსტრანტებმა გაძარცვეს იარაღის საწყობი და დაიწყეს მასიური ყაჩაღობა, მოროდიორობა.

პროტესტანტების წინააღმდეგ ძალოვანთა 45.000-იანი არმია იქნა გადასროლილი.

ილონ მასკი მარკ ცუკერბერგთან შებრძოლებას კოლიზეუმში აპირებს

ამერიკელმა მეწარმემ ილონ მასკმა განაცხადა, რომ აპირებს კორპორაცია მეტას გენერალურ დირექტორ მარკ ცუკერბერგს რომის კოლიზეუმში შეებრძოლოს. ამის შესახებ მან ტვიტერში საკუთარ გვერდზე დაწერა.

– არსებობს იმის შანსი, რომ ორთაბრძოლა კოლიზეუმში გაიმართოს, – დაწერა სოციალურ ქსელში ილონ მასკმა. შემდეგ კი მან გამოაქვეყნა ნაწყვეტი კომედიური ფილმიდან „მონტი პრაიტონი: ბრაიანის ცხოვრება", რომელშიც ორთაბრძოლა სწორედ კოლიზეუმში მიმდინარეობს. ვიდეორგოლის კომენტარში კი აღნიშნა, რომ მას საკუთარ ამტანობაზე მოუწევს მუშაობა.

მასკმა ცუკერბერგთან მას შემდეგ გადაწყვიტა ორთაბრძოლის გამართვა, როდესაც კომპანია „მეტამ" განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ აპირებს ტვიტერის კონკურენტი დანართის შექმნას კოდური სახელწოდებით პროჯექტ 92. კორპორაციის დირექტორმა მისი გამოწვევა მიიღო და თხოვა, ორთაბრძოლის ადგილი დაესახელებინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა არგენტინა დაჩაგრეს

არგენტინა-საქართველო 0:20

სტელენბოში. დენი ძრეიმენ სთედიუმი

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო რაგბის 20 წლამდელთა ჩემპიონატზე სარეკორდო სხვაობით მოიგო. და თანაც როგორ – ტიერ 1-ის არგენტინა უქულოდ დატოვა – 20:0.

აქამდე აღნიშნულ ტურნირში საქართველოს ყველაზე დიდი სხვაობით შოტლანდია ჰყავდა დამარცხებული (2018 წელს 39:31); აქამდე უმცროს ბორჯღალოსნებს არასდროს მოეგოთ მშრალი ანგარიშით; აქამდე საქართველოს არასდროს ჰქონია ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების და თასის ნახევარფინალში თამაშის შესაძლებლობა, ახლა კი ეს ყველაფერი რეალურია.

დღემდე 20-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს საუკეთესო შედეგი მე-9 ადგილი იყო, რომელიც 2018 წელს შოტლანდიის ძლევით დაიკავა, ჯგუფურ ეტაპზე კი საუკეთესო შედეგი მესამე ადგილი იყო (ორჯერ – 2018 და 2019 წელს). ახლა ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილის დაკავების რეალური შანსი გაჩნდა. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, საქართველომ ჯგუფი პირველ ადგილზე დაასრულოს. ამისათვის აუცილებელია, ჯგუფური ეტაპის ბოლო ბრძოლის მოგება იტალიასთან, რომელმაც მეორე ტურში სამხრეთ აფრიკა სენსაციურად, 34:26 დაამარცხა.

ახლა უფრო დასანანია ის შედეგი, რომელიც საქართველოსა და მასპინძელი სამხრეთ აფრიკის ჯახში დაფიქსირდა და რომელშიც ჩვენმა გუნდმა ვერც ერთი ქულა მიიღო. არადა, ამის რეალური შანსი იყო და უმცროსი ბორჯღალოსნები იმ თამაშით მინიმუმ 2 ქულას იმსახურებდნენ.

თუმცა, განვლილ თამაშებს არ გამოვეკიდოთ. წინ მთავარი ბრძოლაა იტალიასთან – 4 ივლისს.

მეტი სიცხადისთვის: ორი ტურის შემდეგ არგენტინას, იტალიასა და სამხრეთ აფრიკას 5-5 ქულა აქვს, რადგან თითო ბონუსი ყველამ აიღო, საქართველო კი, ჯერჯერობით, 4 ქულით მე-4 პოზიციაზეა. თუმცა, ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ გატანილ-გაშვებული ქულებით ჯგუფის ყველა მეტოქეს ჯობნის...

არგენტინა და საქართველო მეორე ტურის შეხვედრას განსხვავებულ პოზიციებზე შეხვდნენ. არგენტინელებმა კაცნაკლული იტალიელები ბონუსით, 43:15 დაამარცხეს და ისეთი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, რომელიც ჯგუფის ფავორიტად მოიაზრებოდა.

საქართველოს ნაკრებმა დომინაცია ქულებში პირველად მე-18 წუთზე ასახა – ლუკა ხორბალაძემ მეტოქის პასი ჩაჭრა და ლელომდე მარტომ ირბინა.

35-ე წუთზე, როდესაც უმცროსმა ბორჯღალოსნებმა სარიკსო გადაწყვეტილება მიიღეს, დასარტყამი ჯარიმა აუტში გადაიტანეს და დერეფნიდან აგორებული 8-მეტრიანი მოლა ბასა ხონელიძის ლელოთი დასრულდა. პეტრე ხუციშვილმა ორივე გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ტაიმი 14:0 დასრულდა.

ხუციშვილმა ორჯერ კიდევ გამოიჩინა თავი და ჯარიმებით ანგარიში 20:0 გახადა. ბონუსისთვის საჭირო ორი ლელოსთვის საკმარისი დრო რჩებოდა, მაგრამ ბოლო 25 წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა. ერთია, საქართველოს ლელოს გასატანად არაერთი კარგი შესაძლებლობა ჰქონდა.

სუპერთასის ფინალში დინამოელები ითამაშებენ

ტოხპედო-დინამო (ბთ) 0:0 (5:6ბ)

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

პენალტების სერია: 0:1 კობახიძე, 1:1 შერგელაშვილი, 1:2 მამუჩაშვილი, 2:2 გიგაური, 2:3 ბიძინაშვილი, 3:3 ძოგულაძე, 3:4 იაკობსენი, 4:4 კაბალიერო, 4:5 ფლამარიონი, 5:5 არაბიძე, 5:6 ბალიჩი, 5:6 ბულრიძე (მეკარე)

ტორპედო: გოშაძე, მონტეირო, ნადარაია, გიგაური, არაბიძე, მანჯგალაძე (კაბალიერო 74), ქობულაძე, ბულრიძე, ნეტო, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი

დინამო: ჩიჩკანი, გიორბელიძე, მოსიაშვილი (ლიტვინენკო 60), ზარია (ბიძინაშვილი 60), კაპანაძე (ვაწაძე 88), მამუჩაშვილი, კობახიძე, ღუდუშაური (იაკობსენი 68), ბალიჩი, ჩაბრაძე, ფლამარიონი

სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე საქართველოს დავით ყიფიანის თასის მფლობელმა ქუთაისის ტორპედომ ბათუმის დინამო მიიღო. გატანილი გოლების გარეშე დასრულებული შეხვედრის გამარჯვებულის ბედი 11-მეტრიანების სერიაში გადაწყდა, სადაც ზღვისპირელებმა 6:5 მოიგეს.

პენალტებამდე თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ უფრო უკეთ მაინც ზღვისპირელები გამოიყურებოდნენ და ქუთაისელთა მეკარე ოთო გოშაძემ საკუთარი გუნდი რამდენჯერმე გადაარჩინა.

თუმცა, პენალტების სერიაში ვეღარ უშველა. ორივე გუნდში შერჩეულმა ხუთეულმა პენალტები ბრწყინვალედ შეასრულეს. პირველ აცილებამდე საშა ბალიჩმა გაიტანა, შემდეგ კი თავი ბათუმელთა მეკარე ანტონ ჩიჩკანმა გამოიჩინა, ვინც გადამწყვეტი დარტყმა ირაკლი ბულრიძეს აუღო და გამარჯვებული აჭარული გუნდი გახდა.

დინამო (თბ)-დილა 1:1 (4:2ბ)

თბილისი. მიხეილ მესხი

პენალტების სერია: 0:0 სანტოსი (მეკარე), 1:0 ტაბიძე, 1:1 ჩიტეიშვილი, 2:1 ხარაიშვილი, 2:2 გომისი, 3:2 ბარნსი, 3:2 სარდალიშვილი (მეკარე), 4:2 იობაშვილი

დინამო: ლორია, მალი, სხირტლაძე (იობაშვილი 76), იმრანი, ხარაიშვილი, ტაბიძე, ბარნსი, ლაკვეხელიანი (მაისურაძე 66), კამარა (ოდიშარია 66), მარუშიჩი (ოსიყმაშვილი 34), მარგველაშვილი

დილა: კუჩერენკო, სანტოსი, გომისი, გეილი (სარდალიშვილი 75), ფა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

უეფაში ქართველთა რაოდენობა იზრდება

ნიონში უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა და სფფ-ის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, კომიტეტის წევრის რანგში პირველად მიიღო მონაწილეობა.

სფფ-ის პრეზიდენტი უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრად 5 აპრილს, ლისაბონში გამართულ უეფას ყრილობაზე აირჩიეს.

სფფ-ის პრეზიდენტმა არჩევნებში 40 ხმა მიიღო და გახდა პირველი ქართველი, რომელიც უეფას აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობს.

ამჯერად აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, უეფას კომიტეტებს სფფ-ის მენეჯმენტის კიდევ ერთი ქართველი წარმომადგენელი შეუერთდა. აკაკი ალადაშვილი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უეფას იურიდიული კომიტეტის წევრი იქნება.

ამავდროულად, უეფა-ს სხვადასხვა კომიტეტებში, სფფ-ის მენეჯმენტის წევრები აგრძელებენ მუშაობას და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში განახლებულ პოზიციებზე იმუშავებენ.

ლევან კობიაშვილი ეროვნული გუნდების საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და განვითარებისა და ტექნიკური დახმარების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე დაინიშნა; დავით მუჯირი კვლავ ახალგაზრდული და მოყვარულთა ფეხბურთის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარის პოზიციაზე იმუშავებს; ალექსანდრე იაშვილი ფეხბურთის კომიტეტის წევრია; კახა ჭუმბურიძე უეფას ეროვნული ასოციაციების კომიტეტის წევრი იქნება; ნიკა ჯღარკავა კვლავ მასობრივი ფეხბურთის პანელის წევრი იქნება, ხოლო ოთარ გიორგაძე მედია კომიტეტის წევრი.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

მნიშვნელოვანი სიახლეა უეფას ახალგაზრდული ლიგის ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. 2024-25 წლების სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში გასული კლუბების 19-წლამდე გუნდების გარდა, ტურნირში უეფას ყველა ასოციაციის ჩემპიონი მიიღებს მონაწილეობას. აქამდე, ტურნირში უეფას საკლუბო რეიტინგში საუკეთესო 32 ასოციაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ჩემპიონთა გზა სამი ორრაუნდიანი დაპირისპირებისგან შედგება. მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების წარმომადგენელი კლუბები ასპარეზობას მეორე რაუნდიდან დაიწყებენ. სამი რაუნდის დასრულების შემდეგ, მეთექვსმეტედფინალური სტადიიდან ერთმატჩიანი ფლეი ოფები გაიმართება, რომლის შედეგადაც, ტურნირის ფინალურ ეტაპზე გასული გუნდები გამოვლინდებიან.

გარდა ამისა, აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, უეფას ქალთა ჩემპიონთა ლიგის 2025 წლის ფინალს ლისაბონი უმასპინძლებს. უეფას კონფერენს ლიგის 2024 წლის ფინალს ათენი, ხოლო 2025 წლის ფინალს ვროცლავი უმასპინძლებს. უეფას 19-წლამდე ქალთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნად კი, პოლონეთი დასახელდა.

ცრემლიანი და ამაყი მარცხი

საქართველო-ისრაელი 0:0 (3:4პ)
თბილისი. დინამო არენა
პენალტების სერია: 1:0 აზაროვი, 1:1 კოენი, 2:1 დავითაშვილი, 2:2 განდელმანი, 2:2 გაგუა (მეკარე), 2:3 ხალაილი, 3:3 მოისწრაფიშვილი, 3:4 გლუხი, 3:4 ხვადაგიანი (ძელი)

საქართველო: მამარდაშვილი, საზონოვი, გელაშვილი (ხვადაგიანი 46), კალანდაძე, აზაროვი, წიტაიშვილი (მოისწრაფიშვილი 70), მექვაბიშვილი, ლ.გაგნიძე (გულიაშვილი 97), გოჩოლეიშვილი, დავითაშვილი, გაგუა

ისრაელი: პერეტცი, ლემკინი, განდელმანი, კოენი, ჯაბერი (ხალაილი 106), კარცევი (ჰოფმაისტერი 51), გლუხი, აზულაი (ბილევი 80), ჰაგაგი (მორგანი 91), გურნო (ლაიუსი 63), ტურგემანი (აბუ რუმი 113)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი 44 348 მაყურებელს თვალცრემლიანი, მაგრამ ამაყი დაემშვიდობა. რამაზ სვანაძის გუნდს ძალიან ცოტა დააკლდა ნახევარფინალამდე და ისრაელთან მატჩი პენალტების სერიაში დათმო.

დასაწყისი მეტოქის იყო და რამდენჯერმე გადავრჩით. ჩვენებმა თამაში გამოასწორეს, ბურთი მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს, გოლიც გაიტანეს, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა მანამდე ბურთის მოედნიდან გასვლა დააფიქსირა.

ჩვენები თამაშის ბოლომდე უფრო თამამად უტევდნენ, მაგრამ სახიფათო მომენტები მეტოქემ შექმნა. მარტო გიორგი მამარდაშვილმა ხუთჯერ გადაგვარჩინა.

საქართველოს ნაკრების უპირატესობა დამატებით დროში უფრო აშკარა იყო, მაგრამ საქმე გოლამდე არ მისულა.

ამის შემდეგ დაიწყო პენალტების სერია. სამწუხაროდ, მეტოქემ ყველა პენალტი გაიტანა, პერეცმა გიორგი გაგუას აუღო, საბა ხვადაგიანმა კი ბურთი ძელს გაარტყა...

მეორე მეოთხედფინალურ მატჩში ესპანეთის ნაკრებმა დამატებით დროში შვეიცარია 2:1 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა.

ამ მატჩის შედეგმა გაარკვია, რომ თუ ინგლისი და საფრანგეთი ნახევარფინალში გავლენ, სვანაძის შეგირდები პარიზის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის უკრაინას ეთამაშება.

საქმე ის არის, რომ საფრანგეთი, როგორც ტურნირის მასპინძელი ავტომატურად ითამაშებს, ხოლო ინგლისი ოლიმპიურ თამაშებში ცალკე არ მონაწილეობს.

შედეგად, თუ ინგლისი და საფრანგეთი ნახევარფინალში გავლენ, ისრაელი და ესპანეთი ავტომატურად პარიზში ითამაშებენ, ხოლო მესამე საგზურს საქართველო და უკრაინა გაითამაშებენ. ურთიერთობას კი, რუმინეთში გაარკვევენ. ეს ან 7 ან 8 ივლისს მოხდება.

რამაზ სვანაძე:

– მიჭირს ახლა საუბარი... ფეხბურთი და წაგება თამაშის ნაწილია. ჩვენ უფრო მეტს ვიმსახურებდით. ეს ბიჭები არიან ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე. მათი მენტალიტეტი და პროფესიონალიზმი მაიმედებს. მადლობაც გადავუხადე ყველაფრისთვის, ევრო 2023-ზე თითოეული დღისთვის...

ოლიმპიადაზე გასვლის შანსს რაც შეეხება, შანსები ჯერ კიდევ არის, ამიტომ, გუნდი ვარჯიშს ჩვეულებრივად აგრძელებს...

მეორე და მთავარი ფაქტორი მაინც გადაღლილობა იყო – ბოლო 10 დღეში ბიჭებს დიდი ფიზიკური დატვირთვა ჰქონდათ და მათ თავდადებისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. მადლობა ჩვენს სტაფსა და ფეხბურთის ფედერაციას. ეს მხოლოდ დასაწყისია. თქვენ ამ თაობის იმედი უნდა გქონდეთ...

ტურნირამდეც ითქვა, რომ წიტაიშვილი ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებში არ იყო და შეცვლა ამ ფაქტმა განაპირობა. დარწმუნებული ვარ, მალე კარგ კლუბში მოხვდება, რადგან ძალიან კარგად ჩაატარა ტურნირი და ზოგადად კარგი ფეხბურთელია...

მთავარი არის რწმენა, რომლითაც ჩვენ გავდიოდით მოედანზე. მეტოქეებს ამ დონეზე თამაშის მეტი გამოცდილება აქვთ და ასეთ განრიგს შეჩვეულები არიან...

პენალტების სერიისთვის ხუთეული წინასწარ იყო შერჩეული, მაგრამ ერთია ვარჯიშზე რას ვაკეთებთ და მეორე ის, რაც მოედანზე ხდება...

ამ დღეებში წარმოუდგენელი ერთიანობა ვიგრძენით! მადლობა გულშემატკივარს და მთელს ქვეყანას. ვთვლი, რომ ჩვენი ყველაზე დიდი გამარჯვება ის არის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გავახარეთ. ვეცდებით, მომავალშიც გავახაროთ.

გაი ლუზონი:

– შეგვეძლო თამაში 25-30 წუთის შემდეგ დაგვესრულებინა, უამრავი მომენტი გვქონდა, რომელიც ვერ გამოვიყენეთ, შეიძლებოდა ანგარიში 2:0 ან 3:0 ყოფილიყო. მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა წნეხი გააძლიერა და თამაში შეიცვალა. საჭირო იყო, რომ გვეჩვენებინა მეტი გამძლეობა და სითამამე, რაც მოვახერხეთ. ვფიქრობ, რომ გამარჯვება დავიმსახურეთ.

ჩემს ფეხბურთელებს ვენდობი და პენალტების სერიის დროსაც არ მინერვიულია. ეს ჩვენი ძლიერი კომპონენტია და პენალტების სერიაში ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია...

ქართველებს ჰყავდათ 50.000 გულშემატკივარი, მაგრამ ჩვენც გვყავს 7-8 მილიონი ადამიანი, რომლებიც მხარს გვიჭერენ. ამან გაგვაძლიერა და ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახადა.

დასაწყისი მე-6 გვერდზე

სუპერთასის ფინალში დინამოელები ითამაშებენ

რულავა (მზაკავალი 75), კოვტალიუკი (ს.კუხიანიძე 86), ჟან ვიტორი, სილვა, ძოწენიძე (თევზაძე 82), ჩიტეიშვილი, ეტოუ

კვიპროსიდან საქართველოში დაბრუნებულმა გიორგი ლორიამ მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში ორჯერ იყოჩაღა და თბილისის დინამოს სუპერთასის ფინალში გაუძღვა.

დილამ კი იბრძოლა, მაგრამ 37 წლის ლორიასთან დამარცხდა. გორელთა გოლის დროსაც კარგად ითამაშა დინამოელთა მეკარემ, მაგრამ იქ უფრო მცველები შეცდნენ.

მანამდე ულად-ომარ იმრანმა შესანიშნავად შეასრულ საჯარიმო დარტყმით და ბურთი კარში ძელიდან ასხლეტით შევარდა.

ერთია, თამაში ძირითადად დაბალ ტემპში მიმდინარეობდა, რაც ევროთასების წინ ორივე გუნდისთვის შემაშფოთებლად მოსჩანს. დინამო გოლის შემდეგ დაცვაში „ჩაჯდა", ბურთს დილა აკონტროლებდა და მანაც შედეგი გამოიღო.

დინამოელთა სუპერთასის ფინალი 4 ივლისს, დინამო არენაზე გაიმართება.

სამგლოვიარო განცხადებები

მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას

მონატრება

მუდამ სანატრელო მიმოზა, 3 ივლისი შენი დაბადების დღეა. მეხუთე წელია ზეციური საქართველოს დიად სასულეთში განაგრძობ ცხოვრებას. 2018 წლის 18 დეკემბერს დრომ ერთმანეთს დაგვაშორა და მიჭირს ამაზე საუბარი, მით უმეტეს, დღეს, როცა უშენოდ მეხუთე წელია ვხვდებით შენს დაბადების დღეს, შენს საფლავთან შეკრებილი ოჯახის წევრები, შვილები და შვილიშვილები, სისხლხორცნათესავები, შენი ძმები ლევან და თენგიზ ჩიქოვანები ოჯახით და ლამზირა ჩიქოვანი ოჯახით, შენი განუყრელი დაქალები ნანა ლომთათიძე, ნათელა წულაია, ციური ხაბაზიშვილი გულწრფელად გილოცავენ დაბადების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და სიმშვიდეს გისურვებენ მარადიულ სასუფეველში. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ვიდრე ცოცხლები ვიქნებით, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს წუთისოფელს განშორებული და ზეცად ამაღლებული შენი მარად მღვიძარე სული!

გულდაწყვეტილი და შენზე მონატრებული მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა!

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ფიფა და ჯიდა

საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციამ და ფიფამ დაადასტურეს, რომ 2023 წლის მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ყველა მატჩი საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში გაიმართება.

გადაწყვეტილება ფიფას დელეგაციის წევრების ჯიდაში ვიზიტის შემდეგ მიიღეს. ტურნირი 2023 წლის 12-დან 22 დეკემბრამდე გაიმართება. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა საუდის არაბეთში ფიფას მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი ჩატარდება.

იასერ ალ მისეხალი, საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– მოხარულნი ვართ, რომ ჯიდა, თავისი უახლესი ტექნოლოგიებითა და რეპუტაციით, საერთაშორისო სპორტული ღონისძიების მასპინძელ ქალაქად შეირჩა. სპორტი არის საუდის არაბეთის მიმდინარე ტრანსფორმაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა „ვიჟიონ 2030"-ის ფარგლებში, რამაც გლობალურ სპორტში სამეფო ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ და საინტერესო ქვეყანად აქცია.

ფიფას დელეგაციის ვიზიტის დროს განხორციელდა ძირითადი ინფრასტრუქტურის, ობიექტების დეტალური ინსპექტირება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 2. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 3. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 4. მოღრუბლული დილა; 7. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. საჭმელი სოკო; 15. საფეხურებად გადმომჩქეფარე ხელოვნური წყალვარდნილი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

თარაზულად: 5. აეროპორტი სოხუმში; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი ნოველა; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალური წარმოდგენა; 11. მწვავე სისხლნაკლებობა; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური საბერძნეთში; 18. ბარიტის საბადო რაჭაში; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 21. მკბენარა მწერი; 22. გემის მიერ განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კურტაჟი; 2. თუშმალი; 3. ნიველირი; 4. სიგალი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. აბაკელია; 13. პლატინა; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. აკაცია; 20. შუქურა.

თარაზულად: 6. ბურდუხანი; 7. ჰიმალაი; 8. პრერია; 10. იავნანა; 11. დაბა; 14. ბილტმორი; 15. ჟანდარმი; 18. ახმეტა; 21. კონკური; 22. ხუნდი; 23. ალმასი; 24. ვირსალაძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აუდიტი; 2. სიდრი; 3. აზალია; 4. არემჯი; 6. ყარაუნი; 9. თეთრი; 11. სიმენსი; 15. ნეთანიახუ; 16. სულორი; 17. კარამელი; 19. ილუმენი; 21. ლომბერი; 22. ხახული.

თარაზულად: 5. იუდაიზმი; 7. ავსტრია; 8. ძენკვი; 10. ბენფიკა; 12. ჯიხვი; 13. ონიმა; 14. პარანგონი; 18. ოპელი; 20. ბურახი; 23. რაუნდი; 24. მილი; 25. ხორუმი; 26. ლეხი; 27. ბრონქსი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

3 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6396

ევრო — 2.8287

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2897

100 რუსული რუბლი — 3.2577

ამინდის პროგნოზი 3 ივლისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესკ ფაბრეგასმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა



ლეგენდარულმა ესპანელმა ფეხბურთელმა სესკ ფაბრეგასმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან თავის ოფიციალურ ტვიტერის გვერდზე დაწერა. ფაბრეგასის თქმით, მას შესანიშნავი კარიერა ჰქონდა, მაგრამ დრო არის, რომ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს: „ვიცი, რომ ჩემი გადაწყვეტილება ბევრს დაამწუხრებს, მაგრამ დროა, კარიერა დავასრულო და მწვრთნელობაზე გადავერთო. ფეხბურთი ძალიან მიყვარს და ამ სპორტში აქტიურად ვიქნები ჩართული".

ზურიკო დავითაშვილი: „თავი მაღლა უნდა ავწიოთ"

საქართველოს ნაკრები ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ისრაელთან მეოთხედფინალში დამარცხდა. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა და ჩვენებმა პენალტების სერიაში წააგეს. ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ზურიკო დავითაშვილმა თქვა, რომ საქართველოს კარგი ტურნირი ჰქონდა და მომავალი უფრო უკეთესი იქნება: „სამწუხაროდ, დღეს დავმარცხდით, მაგრამ თავი მაღლა უნდა ავწიოთ და მომავალში, დარწმუნებული ვარ, ლამაზ დღეებს ერთად შევქმნით. ხალხის მხარდაჭერა მთელი ტურნირის მანძილზე ძალიან გვეხმარებოდა".

ფრენკი დე იონგით მანჩესტერ სიტი დაინტერესდა

მანჩესტერ სიტი ბარსელონას ჰოლანდიელი ნახევარმცველით ფრენკი დე იონგის შეძენით დაინტერესდა და შესაძლოა უახლოეს მომავალში ფრენკი მანჩესტერში ვიხილოთ, თუმცა, თვითონ დე იონგს ბარსელონაში დარჩენა სურს, რადგან მის საცოლეს ბარსელონაში მოსწონს ცხოვრება. დე იონგმა აღნიშნა, რომ ბარსელონასთან ერთად მას მომავალში ბევრი ტიტულის მოგება სურს და ეს რეალურია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

თამარ მეფის ორდენი ლიტერატურის მუზეუმში იქნება დაცული

თამარ მეფის ორდენი გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში იქნება დაცული.

ინფორმაცია მუზეუმის დირექტორმა **ლაშა ბაქრაძემ** გაავრცელა:

– მაის-ივნისში გოეთეს ინსტიტუტში გამოფენა მოვაწყვეთ „გრაფი შულენბურგი და საქართველოს პირველი რესპუბლიკა". მისმა ძმის შვილიშვილმა, შტეფან გრაფ ფონ დერ შულენბურგმა თბილისში ჩამოიტანა და გამოფენილი იყო ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგის „თამარის ორდენი", რომელიც შეძენილი იქნა ელენე დარიანის წიგნის გამოსაცემად შეგროვებული ფულის დარჩენილი ნაწილიდან (აქვე კიდევ ერთხელ მადლობა გვსურს გადავუხადოთ ყველა შემომწირველს) ჩვენი მუზეუმისთვის და დღეიდან ლიტერატურის მუზეუმში იქნება დაცული.

ეს ორდენი ორმაგად ძვირფასია, რადგან ასეთი ადრეული ეგზემპლარი ამ ორდენისა აქამდე საქართველოში არ გვქონდა და ის საქართველოს დამოუკიდებლობის წინაშე დიდი დამსახურების მქონე გერმანელი დიპლომატის შულენბურგის ნაქონია.

თამარ მეფის ორდენი 1916 წელს დაწესდა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე მებრძოლი საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ, როგორც საპატიო და სამახსოვრო ნიშანი ქართული ლეგიონის წინაშე დამსახურებისათვის, რომელიც 1917 წელს გადაკეთდა ჯილდოდ, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებისათვის მათი ღვაწლის აღსანიშნავად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

ვარსკვლავის ფორმის ნიშანი ოსმალური სამხედრო მედლის მიბაძვით იყო გაკეთებული. ამ მედალს, რომელიც სულთან მეჰმედ V-მ დაანესა 1915 წელს, გერმანელები „რკინის ნახევარმთვარეს", ბრიტანელები კი „გალიპოლის ვარსკვლავს" უწოდებდნენ.

„ორდენს" ვარსკვლავის ფორმა ჰქონდა, რადგან ჯვრის ფორმა მაჰმადიანთათვის მიუღებელი იქნებოდა (შეგახსენებთ, რომ ქართული ლეგიონი ოსმალეთის იმპერიაში იყო დაარსებული და მასში ქართველი მუსლიმებიც იყვნენ).

„ორდენი" მიღებულ იქნა გერმანიის გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის თანხმობით და ქართული კომიტეტის მიერ გაიცემოდა. კომიტეტის თავმჯდომარემ, პეტრე სურგულაძემ პირველი ორდენი გადასცა გენერალფელდმარშალ ჰინდენბურგს. ორდენი მიიღეს ასევე ლუდედენდორფმა, ლო-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

იუმორი

– კაცი წიგნის მაღაზიაში გამყიდველს ეკითხება:

– თუ გაქვთ წიგნი „ქალის მომთვინიერებელი მამაკაცი"?

– ფანტასტიკა შემდეგ განყოფილებაშია.

•••

მამაკაცი გამყიდველ გოგონას ეკითხება:

– ტრუსები გაქვთ?

– არა.

– და გაყიდვაში?

•••

ორი ელექტრიკოსი დენის გაყვანილობას ცვლის. ამ დროს მოხუცი ქალი გამოივლის. ერთ-ერთი ეუბნება:

– ბებო, ერთი ეგ მავთული მომაწოდე.

ბებომ მიაწოდა. ერთი მეორეს ეუბნება:

– ხომ გეუბნებოდი, ნოლიამეთქი, შენ კიდევ, ფაზაა, ფაზაო.

•••

ოსი ეკლესიაში შევიდა. იქვე მდგომმა ქალმა სანთელი მიაწოდა:

– აჰა, შვილო, სანთელი.

– ალა, გმადლობ, ფანალი მაქს.

•••

ქალი ცოცხს ყიდულობს, ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთი შეარჩია. გამყიდველი ეკითხება:

– ქალბატონო, ეს ცოცხი გაგიხვიოთ თუ მოაჯდებით და გაფრინდებით?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ხელოვნება საფრთხეშია!" – ათონელის თეატრში მსახიობებმა ბანერები გამოიტანეს

„ხელოვნება საფრთხეშია! არა ცენზურას!" – ტრანსპარანტები ამ წარწერებით მსახიობებმა ათონელის თეატრში გამართული სპექტაკლის ფინალში გამოიტანეს.

კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენები სპექტაკლის „ფინალი დისნეის" მონაწილე მსახიობებმა ამ ფორმით გააპროტესტეს.

ფილიპ რიდლის პიესის პერსონაჟებს სპექტაკლში მსახიობები სანდრო სამხარაძე, სოფიო ზერაგია, ნიკუშა ბაქრაძე და ლაშა მებუკე განასახიერებენ.

მეგი გოგიტიძე: „კოლექტიურ აზროვნებაში მე თქვენ ვერ გამოგყვებით"

ასე მიაჩნია მომღერალ მეგი გოგიტიძეს, რომელიც კრიტიკულ საზოგადოებას ღია წერილით მიმართავს:

– მიყვარხართ, მაგრამ კოლექტიურ აზროვნებაში მე თქვენ ვერ გამოგყვებით.

თქვენ სხვა შემთხვევასთან გაქვთ საქმე დამიჯერეთ და აქ არ ჭრის დაკოპირებული კომენტარები. სადღაც პოსტებში ამოკითხული პროპაგანდისტული „მეგის გაშავება" თემები. რაც უფრო გამაშავებთ, მე მეტად მადლიერი ვიქნები ღვთისა (ეს სიტყვები ეხება მათ, ვისაც ეხება). ამ მუსიკას, ამ სიტყვებს, ლექსებს და ხმას, ამ ენერგიას ისტორიაში დარჩენა უწერიათ. თქვენ საქმე გაქვთ საერთოდ ახალ და ძლიერ შემოქმედებასთან, რომელსაც სამყაროს ნებისმიერ წერტილში მიეცემა განვითარება სადაც და როცა საჭიროდ ჩავთვლი. გიმეორებთ, მიყვარხართ, მაგრამ ფანატიზმში ვერ გამოგყვებით.

ჩემი მსმენელისათვის კი კარგი ამბავი მაქვს, მალე ელოდეთ ანონსს, საქართველოში კონცერტის შესახებ. ვისაც რაიმე კითხვები გექნებათ კონცერტის დღეს პირადად შეგხვდებით და პირისპირ ვისაუბრებთ.

გიორგი ყიფშიძე და ენი გასოევა დაშორდნენ

მსახიობი გიორგი ყიფშიძე და ფოტოგრაფი ენი გასოევა ერთმანეთს დაშორდნენ. წყვილის ერთობლივი ცხოვრება რამდენიმე წელში დასრულდა. მათ 2 შვილი გოგო-ბიჭი – კოსმო და ლუნა ჰყავთ.

– მე და გიორგი დაახლოებით 6 თვეა, რაც დავშორდით, მაგრამ დაშორების პროცესი ცოტა ადრე დაიწყო. არაფერი კონკრეტული არ მომხდარა. გარემო პირობები, სტრესი, პანდემიები. ყველაფერი დაგროვდა საბოლოო ჯამში და ვერ გავუმკლავდით. ყველანაირად ვეცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა. გიორგი ჩემთვის დღემდე ძალიან ძვირფასია. სულ პატივს ვცემ, მეყვარება და ყოველთვის გულშია, – განაცხადა ენი გასოევამ ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრობისას.

ენი გიორგისთვის მესამე ცოლია. პირველ მეუღლესთან კრისტი ყიფშიძესთან მას გოგონა ნატალია ჰყავს, მეორე მეუღლესთან ანი ჩიკვილაძესთან ბიჭი – ალექსანდრე, მესამე მეუღლესთან ენი გასოევასთან კი – გოგო-ბიჭი – 3 წლის კოსმო და 2 წლის ლუნა.

ხატია ბუნიათიშვილმა კონცერტები გააუქმა

პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა ივლისის თვეში დაგეგმილი კონცერტები გააუქმა. მას ამისთვის საპატიო მიზეზი აქვს – ცოტა ხნის წინ პატარა გოგონას დედა გახდა.

ინფორმაცია კონცერტების გადადების შესახებ ხატიამ ინტერნეტით თავად გაავრცელა:

– ძალიან სამწუხაროა ამის თქმა რომ მიწევს, მაგრამ იძულებული ვარ გავაუქმო ივლისში დაგეგმილი 3 კონცერტი საფრანგეთსა და გერმანიაში. მონაწილეობა უნდა მიმეღო ჩემთვის საყვარელ და უმნიშვნელოვანეს ფესტივალებში, თუმცა, ყველა ქალაქში ვიზიტს სჭირდება ხანგრძლივი დრო, ზუსტად გაწერილი საკმაოდ ხანგრძლივი რეპეტიციები ორკესტრთან ერთად, რადგან სოლო-კონცერტის დროს ყველა დეტალი შეთანხმებული უნდა იყოს. ეს ძალიან დიდი და ადრეული მოთხოვნაა ჩემი გოგონასთვის, რადგან მეძუძური დედისთვის ცოტა ნამეტანია.

ბოდიშს ვიხდი კონცერტების გადადებისთვის და იმედს ვიტოვებ, რომ მათ სხვა დროს აუცილებლად ჩავატარებ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. ლუდის ღვთაებად მიჩნეული მითოლოგიური ფლანდრიელი მეფე; 2. საქართველოში გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 3. თანამდებობების, წოდებების ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 4. თაფლით, ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბლის ტკბილეული; 5. ძველად კვირის რომელიმე დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული; 6. მოძრავი სცენა თეატრში; 7. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 9. შედღვებილი რძისგან მომზადებული პროდუქტი; 13. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მონღოლთა მომთაბარე დამპყრობელი ლაშქარი; 18. მდინარე ციმბირში,

თარაზულად: 1. ქართველი სუმოისტი; 3. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 8. ბერძნული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 11. ქართული საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 12. ფეხბურთის ბრაზილიელ გულშემატკივართა სახელწოდება; 14. შავი და თეთრი შრეების მქონე მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 15. სიმღერის შესრულება მუსიკალური თანხლების გარეშე; 16. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 19. ფრანგი კომიკოსი მამაკაცი; 20. მჭრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა